# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 13 ივნისი 2001 №108 (1380) | ფასი 50 თეთრი


# ქორდანია დარწმუნებულია: ძოძუაშვილიც წავა!

დღეს, ნაშუადღევს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დარბაზში ერთხელაც შეიკრიბება ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი და, ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას თქმით, მწვრთნელები, ძოძუაშვილი და ყიფიანი თანამდებობიდან ოფიციალურად განთავისუფლდებიან.

იხილეთ მეორე გვერდი



ეს იყო: 2001 წლის 13 აპრილი. რუმინეთთან მატჩისშემდგომი აღმასკომის სხდომა. რა მოხდება დღევანდელ აღმასკომზე? რას უპასუხებს რევაზ ძოძუაშვილი მერაბ ჟორდანიას და ვალერი ჩოლარიას გადაწყვეტილებას: წადით!

# 94:0 ლელოების ზალპი ავლაბარში



ლოკომოტივი — აია. ლოკომოტიველი ბესიკ უდესიანი მეტოქის ლელოსკენ დაიძრა

გუშინ საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის მესამე ტური გაიმართა და პირველი რეკორდიც გამოცხვა: „ყოჩებმა“ ავლაბარში 94:0 დაამარცხა ასკ, თან 14 ლელო გაუტანა. „ყოჩები“ სამი მოგებით ლიდერობს ჩემპიონატს. მის დარად ასპროცენტიანი შედეგი აქვს ბათუმის „დათვებს“, ოღონდ ორი მატჩიდან. გუშინ ბათუმელებმა ამ ჩემპიონატში პირველად ითამაშეს თბილისში და მომძლავრებულ „უნივერსიტეტს“ 22:16 მოუგეს. ქართული რაგბის ოდინდელი ფლაგმანების, თბილისის „ლოკომოტივის“ და ქუთაისის „აიას“ ვარკეთილურ ჯახში დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა — ჩემპიონმა და თასის მფლობელმა რკინიგზელებმა 26:7 დაამარცხეს ქუთათურთა ახალგაზრდული გუნდი.

იხილეთ მეცხრე გვერდი

# ჟორდანია დარწმუნებულია: ძოძუაშვილიც წავა!

დასაწყისი პირველ გვერდზე

**დღეს**, შესაძლოა, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე დიდი სკანდალი მოხდეს — ხმამაღლა ითქვას ის ყველაფერი, რასაც აქამდე კულუარებში თუ ამბობდნენ.

გუშინ კი შევხვდით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ***მერაბ ჟორდანიას*** და პასუხი ვთხოვეთ იმ რამდენიმე კითხვაზე, რევაზ ძოძუაშვილთან გუშინწინდელი ინტერვიუს შემდეგ რომ გაგვიჩნდა.

**— ძოძუაშვილი ამბობს, რომ უნგრეთთან სათამაშო შემადგენლობა მერაბ ჟორდანიამ შეარჩიაო. მართალია?**

— არა, არ არის მართალი, მწვრთნელთა კომპეტენციაში მე არ ჩავრეულვარ. შემადგენლობის თაობაზე ჩემი აზრი კი გამოვთქვი, მაგრამ საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, მწვრთნელებისა იყო. რაც ფედერაციის პრეზიდენტი ვარ, ასეთი შემთხვევა არასდროს ყოფილა.

**— ძოძუაშვილმა თქვა, ვიდრე მე წავალ ნაკრებიდან, ჟორდანია წავიდეს ქართული ფეხბურთიდანო. თქვენი კომენტარი ამ სიტყვებზე.**

— ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. რა ვთქვა? რევაზ ძოძუაშვილს დღეს უკვე შევხვდი და ჩემი და ფედერაციის პოზიცია გავაცანი.

**— ესე იგი, მწვრთნელთა განთავისუფლება მაინც აღმასკომის სხდომაზეა დამოკიდებული...**

— დიახ, თუმცა, მჯერა, რომ აღმასკომის წევრები ფედერაციის ხელმძღვანელობის აზრს გაიზიარებენ და მწვრთნელები ხვალ ოფიციალურად განთავისუფლდებიან.

თავად რევაზ ძოძუაშვილთან დაკავშირება გუშინ ვერ მოვახერხეთ. თუმცა კი, როგორც შევიტყვეთ, ის ისევ თავისაზეა, ნაკრებიდან წასვლაზე უარზეა და დღევანდელ აღმასკომის სხდომაზე აქამდე ართქმულის თქმას აპირებს.

**კობა ინასარიძე**



ბაჩო კორინთელის ფოტო

მერაბ ჟორდანია

# ჯერ სტადიონი, მერე ბუღალტერია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციას სტუმრები ჰყავს. უეფამ ფედერაციის თხოვნა გაითვალისწინა და აუდიტები გამოაგზავნა.

სამკაციანი დელეგაცია თბილისს გუშინ დილით ჩამოფრინდა და გუშინვე გაოცებული დარჩენილა — თურმე, ნუ იტყვით და „ლოკომოტივის" ახლადაშენებული სტადიონით.

სტუმრებს ფედერაციამ, პირველად სწორედ ვაკეში მდებარე სტადიონი მოანახულებინა. დღეიდან კი უეფას აუდიტები იმ საქმეს შეუდგებიან, რისთვისაც ისინი მოიწვიეს — ფედერაციის ფინანსურ დირექტორ გერა ხეცურიანთან ერთად, ისინი ფედერაციის ბუღალტერიაში ჩაიხედებიან და ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელთ შესაბამის რჩევა-დარიგებებს მისცემენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# საქართველოს ნაკრების მწვრთნელის სიტყვიერი პორტრეტი

## მოძრავი სტრიქონი ჩვენი მეხსიერებისთვის: ვეძებთ უცხოელს, განსწავლულს, გამოცდილს, ობიექტურს, უანგაროს...



ბაჩო კორინთელის ფოტო

იოჰან ბოსკამპი: საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი და ჯერჯერობით ბოლო უცხოელი მწვრთნელი

**საქართველოს** ნაკრების ერთი მწვრთნელი გადადგა, მეორე რიგში დგას. მართალია, რევაზ ძოძუაშვილი უარზეა და წასვლის მიზეზს ვერ ხედავს, მაგრამ ვეჭვობთ, აქედან რამე გამოვიდეს. მწვრთნელის მოხსნა ფედერაციის აღმასკომის უფლებაა, აღმასკომი კი, ალბათ, პრეზიდენტის აზრს გაიზიარებს. ისიც საფიქრებელია, რომ მერაბ ჟორდანიამ უკვე იცის აღმასკომის წევრთა განწყობა, თორემ არ იტყოდა, აღმასკომის სხდომაზე ჩვენ ჩვენსას გავიტანთო.

მოკლედ, მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს! მაგრამ გაუმარჯოს კი? ცხადია, გაუმარჯოს, თუ- აქ სამწერტილის ნაცვლად ძალიან ბევრი რამ უნდა ჩაიწეროს.

***საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს ნაკრებში მიწვეულ ფეხბურთელებთან პირადი ინტერესები არ უნდა აკავშირებდეს.***

როცა ჩნდება ეჭვი, რომ მწვრთნელი ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში იმიტომ იწვევს, რომ უცხოელმა სელექციონერმა შეამჩნიოს და კონტრაქტი შესთავაზოს, ასეთი გუნდი დამარცხებისთვისაა განწირული. გავიხსენოთ, რომ ამ მიზეზით თვით ბრაზილიის ნაკრებიც შედარებით სუსტ მეტოქესთანაც ხელწამოსაკრავი გამხდარა. აქვე აღვინიშნავთ, რომ ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ. უბრალოდ, ვამბობთ, რომ როცა ნაკრებში იწვევენ ნაკლებგამოცდილ ფეხბურთელს, რომელზე უკეთესიც მოიძებნება, ჩნდება ეჭვი.

***საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს ზურგს სერიოზულ გუნდებთან მუშაობის გამოცდილება უნდა უმაგრებდეს.***

ყოველთვის, როცა ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდის მწვრთნელს ნიშნავდა, ერთადერთი კრიტერიუმად მისი დიდი ფეხბურთელობა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სხვა, უფრო ღირებული არგუმენტი არ მოგვისმენია.

***საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი თეორიის ღრმად მცოდნე უნდა იყოს.***

შევხედოთ საქართველოს ნაკრების თამაშს: თუ ის ზოგჯერ რაიმე წარმატებას აღწევს, უფრო მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე და არა დალაგებული, საკუთარ და მეტოქის შესაძლებლობებზე გათვლილი ტაქტიკით.

***საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება უნდა შეეძლოს.***

გაიხსენეთ, როდის ყოფილა, მწვრთნელს ეთქვას, დღევანდელი თამაში რომ წავაგეთ, დამნაშავევარო, ყოველთვის პირიქითაა. და თუ მწვრთნელი მაინც გადაწყვეტს პასუხისმგებლობის აღებას, ეს მაშინ ხდება, როცა უკან დასახევი გზა უბრალოდ მოჭრილი აქვს.

***საქართველოს ნაკრების მწვრთნელს საჭირო ფეხბურთელების გამოცნობა უნდა შეეძლოს.***

სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები არ გვახსენდება და თუ უცხოელმა მწვრთნელმა დაადგა ჩვენებურს თვალი, მერეღა ირკვევა, რომ კარგი ფეხბურთელი გვყოლია.

***საქართველოს ნაკრების ახალ მწვრთნელს არ უნდა ჰყავდეს ფავორიტები და პროტეჟეები.***

პოსტსაბჭოური სივრცისთვის ჩვეული ამბავია, ადამიანის არა პროფესიული თვისებებით, არამედ ძმაკაცობით და ნათესაობით დაფასება. სამწუხაროდ, საქართველომ ამ სივრცეს თავი ვერ დააღწია. გაიხსენეთ, განა ასე არ ხდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? ვეჭვობთ, რომ ფეხბურთშიც ასე უნდა იყოს. აქ გვახსენდება „რეალის" ყოფილი პრეზიდენტის ლორენსო სანსის საქციელი, რომელმაც მწვრთნელის პირველი მოთხოვნისთანავე, საკუთარი შვილი სამეფო კლუბიდან მესამე თუ მეოთხე დივიზიონში გაუშვა. ჩვენს სინამდვილეში მსგავსი შემთხვევები არ ხდება.

***საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი მომთხოვნი უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ.***

რევაზ ძოძუაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან ინტერვიუში თქვა, ფედერაცია უხეშად ერეოდა ჩემს კომპეტენციაში, უნგრეთთან მატჩის წინ შემადგენლობა პრეზიდენტმა დააყენაო. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

სამწუხაროდ, საქართველოში ვერ ვხედავთ მწვრთნელს, რომელიც ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. ეგებ ვცდებით? არა გვგონია. ფეხბურთთან დაკავშირებული ყველა ცნობილი პიროვნება მწვრთნელთა საბჭოს წევრი გახლავთ და აღნიშნულ საკითხზე ხმამაღლა არც ერთს არაფერი უთქვამს. გულში ეგებ ფიქრობდნენ კიდეც, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

და დასკვნა. საქართველოს ნაკრებს სჭირდება უცხოელი მწვრთნელი, რომელსაც: პირადი ინტერესები არ ექნება ფეხბურთელებთან; ცოდნა და გამოცდილება გაუმაგრებს ზურგს; ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა სთხოვოს ვინმემ რამე; უფლებების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოში მისვლის არ მოერიდება; შეთავაზებულ ფეხბურთელთაგან მართლაც საუკეთესოს ამორჩევის ან თავად მოძებნის უნარი გააჩნია.

ისე, ერთი ასეთი კაცი საქართველოს ნაკრებს უკვე ჰყავდა, იოჰან ბოსკამპზე მოგახსენებთ. ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი აღმოაჩინა? აღმოაჩინა. ორიოდე სანაკრებო მატჩი ვერ მოიგო, მაგრამ გუნდი გუნდს დაამსგავსა? დაამსგავსა. პრინციპულობას იჩენდა? იჩენდა. და სადაა ახლა ბოსკამპი? ეჰ, სადაა, ახლა ბოსკამპი... ისე, საინტერესოა, რა უცებ გამოჩნდა მყვირალა ჰოლანდიელი და რა უცებვე გაქრა. რამე არასაფეხბურთო მიზეზები ხომ არ იმალება ამის უკან?

ბოსკამპი, ვეჭვობთ, აქეთ მომბრუნებელი იყოს და ვინძლო, არც გვჭირდებოდეს, რაკი ის ჩვენი ფეხბურთისთვის კარგი კი იყო, მაგრამ უკეთესებიც არსებობენ. რა, არ ჩამოვლენ?

ბორა მილუტინოვიჩი თავის დროზე კოსტა რიკაში თუ ჩავიდა, ერთი მისნაირი ვითომ ჩვენ გვიუკადრისებს? ან იმდენი რა უნდა მოითხოვოს, კოსტარიკელებმა რომ გადაიხადეს და ჩვენი ფედერაცია ვერ გასწვდეს. სხვათა შორის, თუ გახსოვთ, კოსტა რიკამ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა.

**გიორგი დარჯანია**

**შვედეთი**

IX ტური

იურგორდენი 2:0 ჰამარბი



# კარნევალიმ კაპელოს კანიბალი ჩაუყვანა

## სანდრო იაშვილი პირველი ქართველი რომაელია

*დაიბადა ახმეტაში, გაიზარდა თელავში. წელიწადია, რაც დედაქალაქში გადმობარგდა საცხოვრებლად. დღეს კი 16 წლის სანდრო იაშვილი იტალიური „რომას“ წევრია. უშუალოდ კაპელოს გუნდის ფეხბურთელობამდე ჯერაც ძალიან შრომატევადი და დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ ამიერიდან იგი თითქმის ყოველდღე ნახავს ფრანჩესკო ტოტის, გაბრიელ ბატისტუტას და სხვა რომაელ ვარსკვლავებს. მათ გვერდზე დაოსტატდება და თუ ივარგა... მოდით, წინასწარ ნუ ვიტყვით, რა იქნება მომავალში, უმჯობესია, თავად სანდროს მოვუსმინოთ. რა იყო ერთი წლის წინ და როგორ წარმოუდგენია მომავალი...*



— ფეხბურთის თამაში თელავში დავიწყე და პირველი სერიოზული ტურნირი ჩემთვის ბავშვთა ლიგა იყო. სწორედ იქ შემნიშნეს „ირაოს“ საფეხბურთო სკოლის მწვრთნელებმა. მანამდე კი ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვიყავი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული. ის კი არა, გოჩა როსტომაშვილის გუნდში ბევრი თანატოლი მჯობდა. გალეული, სუსტი აღნაგობის გამო ბიჭებმა „ხლართია“ შემარქვეს.

*...დღეს მისი შემყურე ვერავინ იტყვის, გამხდარი და გალეულიაო. ჯანიანი და ენერგიული ბიჭი ჩანს. ცოცხალი გამოხედვა აქვს, თვალები ეშმაკურად უელავს.*

— ბავშვთა ლიგის შემდეგ იყო ჩოხელის თასის გათამაშება. გოლები გამქონდა და ჩემთვის ვემზადებოდი, ოღონდ, სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი, რისთვის. ერთხელაც, მორიგი თამაშის შემდეგ, საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელები მოვიდნენ და მათთან გადასვლა შემომთავაზეს. თურმე ჯანი კარნევალის ჩემი თამაში მოსწონებია და მეც ბევრი არ მიფიქრია, „ვიტ ჯორჯიას“ მოთამაშე გავხდი. სამად სამი თამაშის ჩატარება მოვასწარი „ვიტ ჯორჯია 2“-ის რიგებში. ორი მატჩი თბილისში „მერანთან“ და „მრეტებთან“ იყო, ერთიც ასპინძაში.

*...ამის შემდეგ კარნევალიმ ხელი ჩაჰკიდა მის ფავორიტს და რახან ყველა გზა რომისკენ მიდის, სინიორ ჯანიმაც იტალიისკენ გააქანა მისი რჩეული.*

— მე ვიცი, რომ ყველაფერს შრომით მივაღწიე. არადა, ვარჯიშებზე რამდენჯერ მიტირია დაქანცულს. სუნთქვა მიჭირდა ხოლმე, მაგრამ ყველაფერს ნელ-ნელა ვეჩვეოდი. მამაჩემი, თავად ყოფილი ფეხბურთელი, დღე და ღამ თან დამდევდა. ოჯახი ჩემი გულისთვის თელავიდან თბილისში გადმობარგდა, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ. მე მომეცა შანსი და ისიც ვიცი, რაც აქამდე მიშრომია, შედარებაც არ შეიძლება იმასთან, რაც მელის, თუმც უკანდახევა უკვე წაგების ტოლფასი იქნება, წაგებას კი ვერ ვიტან.

„რომას“ საწვრთნელ ბაზაზე მივედით... თავი სამოთხეში მეგონა. კარნევალიმ მოსაცდელში დამტოვა და ბრუნო კონტისთან ერთად ოთახში განცალკევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ პროფესორ ლეანტეს ჩამაბარეს. ასე მიმართავდნენ კაცს, რომელმაც ბაზაზე დამაბინავა. სინიორ ჯანიმ, მარტოს ხომ არ გაგიჭირდებაო, მკითხა. რა უნდა გამჭირვებოდა. კარნევალი გულდამშვიდებული წავიდა ოჯახის მოსანახულებლად.

„რომას“ საწვრთნელი ბაზა ტყეშია ჩაფლული. ქალაქგარეთ, აეროპორტიდან 20 წუთის სავალზეა. დავბინავდი თუ არა, იქაურობის დათვალიერებას შევუდექი. ათი სავარჯიშო მინდორია და თამამად ვიტყვი, რომ საქართველოში მსგავსი გაზონი არ არსებობს. გასახდელები, სავარჯიშო დარბაზები, აღდგენითი ცენტრები ყველა მოედანს თავისი აქვს. ერთ-ერთ მოედანზე გავედი, ხელით მოვსინჯე ხასხასა ბალახი და გაოცებული დავრჩი. ხავერდივით რბილი იყო.

მეორე დღიდანვე დაიწყო ვარჯიშები. პირველივე ორმხრივი თამაშის დროს ყვირილი ავტეხე, პასი, ბიჭო! ბრუნო კონტი მომიახლოვდა და ღიმილით მანიშნა, გაჩუმდიო. მერე რომ დავაკვირდი, მივხვდი, რაშიც იყო საქმე. წვრთნის დროს იქ მხოლოდ მწვრთნელები ლაპარაკობენ.

ჩემი შანსი უნდა გამომეყენებინა. გიჟივით დავრბოდი, ვიბრძოდი, ყველა მითითებას უსიტყვოდ ვასრულებდი. პირველ საკონტროლო მატჩში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი კი გავაცუდე, მაგრამ კონტიმ მითხრა, შანსი კიდევ გექნებაო.

კონტის უთქვამს კაპელოსთვის, კარნევალიმ საქართველოდან „კანიბალი“ ჩამოიყვანა, თამაშს დავესწროთო. იმ მატჩში გოლი გავიტანე და ჩემი ბედიც მაშინ გაირკვა.

*...თითქმის ორი კვირა რომში გაატარა. დიდი მწვრთნელებისა და ვარსკვლავების თვალწინ ცდილობდა, თავისი დაემტკიცებინა. გაკვირვებული ჩამოვიდა, ტოტი, ბატისტუტა, კაპელო...*

— ტელევიზორის ეკრანიდან სულ სხვანაირები ჩანან. ახლოდან კი... ყოველ დილით ბაზის კარებთან მათ სანახავად უამრავი ქომაგი მოდის. ისინი ულიმიან, ავტოგრაფებს არიგებენ, მერე კი ჩუმად საათობით ოფლს ღვრიან. მათგან ზედმეტს ვერ გაიგებ. ის კი არა, შეუმჩნევლადაც დადიან. უბრალოდ, იცი, რომ ვარსკვლავები არიან, თორემ ისე ჩვეულებრივი მოთამაშეებივით, მორიდებულად იქცევიან.

იცით, ჩემი აზრით რაში გვჯობნიან, ისინი პროფესიონალები არიან, საქმისთვის ბოლომდე იხარჯებიან. სულ სხვა მენტალიტეტის ხალხია, მოედანზე სულ სხვაგვარად იქცევიან, მის გარეთ კი სხვანაირად. სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, ჩემს თაობაზე მოგახსენებთ. ჩვენ მოედნის გარეთ და მოედანზეც ერთნაირად ვიქცევით. ალბათ, პრობლემაც ამაშია. ჩვენ ძალიან, ზომაზე მეტად ამაყები ვართ, შენიშვნების მიღება არ გვიყვარს.

არა მგონია, იტალიელებს ნიჭიერებით ჩამოვუვარდებოდეთ. იქაც რომში, რამდენიმე ახალგაზრდას აქაური ჩემი თანაგუნდელები აჯობებდნენ, მაგრამ ისინი სწორი ფეხბურთის თამაშს სწავლობენ. მათი უპირატესობაც ეს გახლავთ.

თითოეულ თამაშში ჩვენ უდიდეს ენერგიას ტყუილად ვხარჯავთ. ზედმეტი მოძრაობებითა და უაზრო დრიბლინგით ვიღლებით. ძალებიც სერიოზულ მეტოქესთან სათამაშოდ ნახევარ საათსღა გვყოფნის.

ისინი კი თითქმის არ აკეთებენ ფუჭ, არაფრისმომცემ მოძრაობებს. თითოეულმა იცის, სწავლობს, რა დროს სად უნდა იყოს და მაშინ როცა ჩვენთვის თამაში სატანჯველად იქცევა, ისინი ამ დროს ფეხბურთის თამაშით ტკბებიან.

*...სანდრო იაშვილმა პირველად საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიდან დაგვამახსოვრა თავი. მისი გოლით „შევარდენზე“ აზერბაიჯანელებს ვძლიეთ.*

— ოთხი დღის ნაავადმყოფარმა ვითამაშე. ფაქტობრივად, ლოგინიდან გამოსული შევუერთდი გუნდს. გოლი კი გავიტანე, მაგრამ მერე მწვრთნელს შეცვლა ვთხოვე, ვეღარ გავძელი ბოლომდე.

მანამდე გერმანიაში ვიყავით შეკრებაზე, ორი მატჩი ვითამაშეთ და დავმარცხდით. მეტოქემ გვაჯობა. ისინი თურმე ორი წელიწადია, ერთად არიან შეთამაშებულები, მომზადებულები და გამოცდილები. ასაკითაც უფროსები იყვნენ. იმ წაგებამ გამოცდილება ჩვენც შეგვძინა. ვნახეთ, რამდენი რამ გვქონია სასწავლი. ცუდი ის არის, რომ ჩვენ იშვიათად გვიწევს ერთად ყოფნა.

*...სანდრო ერთ თვეში რომში დაბრუნდება. მანამდე მოინახულებს მწვრთნელებს — გოჩა როსტომაშვილს, გურამ ჩომახიძეს, კობა ჟორჟიკაშვილს...*

— მათ ბევრი გააკეთეს ჩემთვის. ფაქტობრივად ახალ სიმაღლეებთან შესაჭიდებლად მომამზადეს. მადლობელი ვარ და კიდევ, გურამ რუხაძისა და ჯანი კარნევალის ამაგს ვერასდროს დავივიწყებ.

თბილისში წამოსვლის წინ ბრუნო კონტიმ მითხრა, შენ „რომას“ 18-წლამდელთა გუნდში ჩაირიცხე. ნუ გეშინია, პრობლემა არ გექნება და სამოთხ წელიწადში თუ მოინდომებ, დიდ ფეხბურთსაც ითამაშებო.

თანატოლებში მერჩივნა, მაგრამ რახან წელიწადნახევრით უფროსებთან გამამწესეს, ეტყობა, ასეა საჭირო. არ მეშინია, ჩემი ბრძოლა ხომ აწი იწყება.

**მამუკა ქვანტალიანი**



სანდრო იაშვილმა (№10) აზერბაიჯანელ თანატოლებთან მატჩში გამარჯვების გოლი გაიტანა

# ნოდიამ ლოკომოტივს მეგოდიშეები მიუშვზავნა და დინამოსკენ გაიხედა?

**ჭორები** ჯერ კიდევ მეთორმეტე ეროვნულის დამთავრებამდე გავრცელდა. ერთის ნათქვამს მეორემ თავისი დაუმატა. აგორდა, გაიბერა და გუშინ სიმართლედ მოგვევლინა. დღეს ერთი რამ ცხადია, თბილისის „ლოკომოტივისთვის“ ვერცხლის მომტანი მწვრთნელი გივი ნოდია რკინიგზელთა თავკაცი აღარ არის.

საინტერესო და გასარკვევი ბევრია. მით უფრო, რომ მოარული ხმები „ლოკომოტივში“ არსებულ განხეთქილებაზე მეტყველებდნენ. ამიტომაც დავუკავშირდით კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძეს და გუნდში არსებულ ვითარებაზე დავეკითხეთ.

— გივი ნოდია მართლა წავიდა, თუმც ამის შესახებ არც სიტყვიერად მოუმართავს და არც განცხადება წარმოუდგენია გადადგომის თაობაზე. მან თავისი ძმის, ალექსანდრე ჩივაძის და შოთა ხინჩაგაშვილის პირით შემოგვითვალა, მივდივარო.

„ლოკომოტივი“ მის გადაყენებას არ აპირებდა, მაგრამ კაცს ჩვენთან მუშაობა თუ არ სურს, ძალას ვერ დავატანთ. მოახლოებული ევროსეზონის წინ ტრაგედიადაც არ აღვიქვამთ მწვრთნელის წასვლას.

გივი ნოდიას არ დაუკონკრეტებია, სად გააგრძელებს მუშაობას, ძაგრამ ჩემი ინფორმაციით, იგი „დინამოში“ გააგრძელებს სამწვრთნელო საქმიანობას.

„ლოკომოტივს“ კი ახალი მთავარი მწვრთნელი 15 ივნისისთვის ეყოლება. კლუბის ხელმძღვანელები შევიკრიბებით და სასურველ კანდიდატურას შევარჩევთ.

ეს გვითხრა ტარიელ ღვაბერიძემ. 15-მდე კიდევ ორი დღეა და „ლოკომოტივმაც“ ორკვირიანი შვებულების შემდეგ მზადება განაახლა. კლუბის საწვრთნელ ბაზაზე 30-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობს. მართალია, იქ ვერ იპოვით გივი ნოდიას, მაგრამ საწვრთნელ პროცესს ოთარ კორღალიძე უძღვება.

რკინიგზელებთან ერთად ვარჯიშობენ თურქეთიდან მობრუნებული მერაბ ძოძუაშვილი, მეთორმეტე ეროვნულში „სიონის“ ფორვარდი კოტე მეტრეველი და ჯერაც უგუნდო მამუკა წერეთელი.

ვერ ვნახეთ კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, ხოლო კახა გოგიჩაიშვილმა ვარჯიშს მოედნის გარედან ადევნა თვალი.

ტარიელ ღვაბერიძის თქმით, „ლოკომოტივი“ დღე-დღეზე ბაკურიანში აპირებდა გამგზავრებას. იქიდან ჩამოსულები უცხოურ შეკრებასაც გეგმავდნენ, მაგრამ ეს მოსამზადებელი პროცესი გივი ნოდიას დაგეგმილი ყოფილა. ვნახოთ, ახალი მწვრთნელი რას და როგორ გადაწყვეტსო, დროებით დაგვემშვიდობა „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტი.

**მამუკა ქვანტალიანი**

გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
[illegible] 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“



„რიდის“ ჩამოსვლამდე ვეტერინარები „ეროვნულზე“ ივარჯიშებენ

# 21 ვიტელი რიდის წინააღმდეგ

**ათდღიანი** განშორების შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი დაუბრუნდა. ჯანი კარნევალი ხვალიდან „ეროვნულზე“ დაიწყებს გუნდის მომზადებას.

გადაწყდა, 16 ივნისს, 6 საათზე, ვეტერინარები ავსტრიული „რიდს“ „ეროვნულზე“ უმასპინძლებენ, ხოლო საპასუხო შეხვედრა 24-ში გირზკირხენში, რიდიდან 20 კილომეტრის მოშორებით ჩატარდება.

ამასობაში „ვიტ ჯორჯიამ“ სელექციური სამუშაოებიც დაასრულა და „რიდსაც“ თითქმის სრულად დაკომპლექტებული დახვდება. ახალი სეზონიდან ვიტელთა მწვანე მაისურას მოირგებენ 18 წლის ფორვარდი მიხეილ ცქიფურიშვილი, 21 წლის თავდამსხმელი ზურაბ მეტრეველი. ასევე 21 წლის გიორგი არეშიძე, ყოფილი ვეტერინარი, თსუ-ში ნათამაშევი მეკარე 23 წლის დავით მამარდაშვილი.

ჯერაც გასინჯვაზე იმყოფებიან ყოფილი თსუელები — 18 წლის ჯობავა და მისი კბილა ბეროშვილი. ყოფილი გორდელი ასევე 18 წლის სოხაძე და თბილისის იბერიელი ლაშა მანწკავა. აგრეთვე 17 წლისები — ფეიქრიშვილი და არჩილ ნოზაძე.

რაც შეეხება 18 წლის ლევან კვარაცხელიას, იგი ვიტელთა რიგებში ჯერ კიდევ მეთორმეტე ეროვნულის დასკვნითი ეტაპიდან გამოჩნდა.

„რიდის“ დასახვედრად 21 ვეტერინარი ემზადება, ამათნგან სამი მეკარეა. ავსტრიაშიც 21 ვიტელი გაემგზავრება, გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

**დათო დანელია**

# ნაროდნიკებს გრძელი ხელები აქვთ

## დამცველს აჭარაშიც მიაგნეს

**გუნდების** უმეტესობას ახალი სეზონისთვის მზადება ჯერ არ დაუწყია, მწვრთნელ-ფეხბურთელები შვებულებაში არიან, რომელიც საცაა დაუმთავრდებათ და ქართული სატრანსფერო ბაზარიც გაიხსნება.

არდადეგები აქვთ ბათუმელებსაც. ასლან ბალაძის გუნდი 15 ივნისს შეიკრიბება, მერე კლუბის კრება მოეწყობა და წამსვლელ-მომსვლელ ფეხბურთელთა ვინაობაც გაირკვევა.

თუმც ერთ ამბავს ახლავე გაუწყებთ. „ბათუმის“ 22 წლის მცველი კახა მჟავანაძე მოსკოვის „სპარტაკშია“ მიწვეული გასასინჯად. კახას რუსეთის სახალხო გუნდში მივლინება ყოველგვარი მენეჯერისა თუ ლობისტის გარეშე მოხდა. „სპარტაკის“ სელექციონერები ჩუმ-ჩუმად აკვირდებოდნენ მჟავანაძეს, ეს არც ფეხბურთელს სცოდნია და არც კლუბის ხელმძღვანელობას. ჩვენებურს მყისვე მოუხდა ბარგის შეკვრა და მოსკოვში გამგზავრება.

უკვე ორი კვირაა, კახა მჟავანაძეს „სპარტაკი“ გამოცდას უტარებს. მისი რუსეთის საუკეთესო კლუბში ტრანსფერი დღე-დღეზე გადაწყდება. როგორც ბათუმიდან გვაცნობეს, სპარტაკელებს მოსწონებიათ ქართველი მცველი და საქმეს კარგი პირი უჩანს.

მჟავანაძემ კარიერა „ბათუმის“ მეორე გუნდში დაიწყო, უმაღლეს ლიგაში მისი დებიუტი 1998-99 წლების სეზონში შედგა, მომდევნო სეზონი ქობულეთის „შუქურაში“ გაატარა, ხოლო მეთორმეტე ეროვნულისთვის კი ექვსეულს მიღმა დარჩენილი „ბათუმის“ დაცვის ხაზის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე შეიქნა.

**დავით თავართქილაძე**



კახა მჟავანაძემ (მარცხნივ) გეზი მოსკოვისკენ აიღო

# დემე ელიტაში დარჩა

## ვასომ კიეველები ანერვიულა

**მორჩა**, გიორგი დემეტრაძის „სოსიედადი“ პრიმერადივიზიონში დარჩა. კვირას ჯონ ტოშაკის გუნდი ბასკურსავე ბილბაოს ეწვია და იქაურ „ატლეტიკს“ 3:1 მოუგო. ქართველს არ უთამაშია, მაგრამ გუნდი ჩინებულად გაისარჯა და ბოლო ტურში „ოსასუნასთან“ მატჩი ფორმალობად აქცია.

მავანი იტყვის, ბასკები არიან და ძმამ ძმას ხელი გაუმართაო, მაგრამ არც მთლად ასე უნდა იყოს საქმე. აბა ძმურ თამაშში სამი გაძევება ვის გაუგია. არადა, მსაჯმა ორ სტუმარსა და ერთ მასპინძელს ვადამდე დაატოვებინა მინდორი.

„მილანმა“ შინ „ბრეშას“ ვერ აჯობა. თუმცა, რაღა აზრი აქვს, „შავ-წითლები“ ჩემპიონთა ლიგაში მაინც ვერ ხვდებიან და თანაც კვირას დასჯილი მალდინი და კალაძე აკლდათ. შეგახსენებთ, კახა წინა ტურში „რომასთან“ მატჩისას გააძევეს და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუდგინეს. ასე რომ „რეჯინასთან“ ბოლო ტურში ითამაშებს.

რუსეთის უმაღლესი ლიგის გრაფაში ექვსი ქართველის გვარი კი გვიწერია, მაგრამ მათი უმეტესობა სარეზერვო გუნდებში, ანუ დუბლშემადგენლობებში თამაშობენ. ერთადერთი „ძირითადის“ კაცი კი ჯერჯერობით მხოლოდ ზაზა ჯანაშიაა. „სოკოლთან“ მატჩში ზაზა შეცვლაზე შეიყვანეს. ამ დროს შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი გახლდათ, რკინიგზელები 2:1 იგებდნენ. ჩვენი რუსი კოლეგები კი ამბობენ, რომ ეს „ლოკომოტივის“ საუკეთესო თამაში იყო წლევანდელ სეზონში.

უკრაინაში ქართველთა გუნდები ლიდერებს ხვდებოდნენ. მიქაძის ცსკა-მ „შახტართან“ უგოლო ფრედ ითამაშა, ტრაპაიძისა და ვასო გიგიაძის „ტავრია“ კი შინ „დინამოსთან“ დამარცხდა. საინტერესოა, რომ „ტავრია“ ერთადერთი გუნდია, ვინც კიეველთა გარდა უკრაინის ჩემპიონი გამხდარა. ორშაბათს ეს გუნდები განსხვავებული მოტივაციით გავიდნენ მინდორზე. „ტავრიამ“ ინტერტოტოს საგზური გაინაღდა და მშვიდადაა, კიევს კი „შახტარი“ არ ასვენებს და ეგებ წლეულს ჩემპიონობაც ჩამოართვას.

ამჯერად კიევმა მოიგო, თუმც ჩვენიანი მაინც გამოირჩა. მეორე ტაიმის დასაწყისში გიგიაძემ მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაუტანა შოვკოვსკის და ანგარიში გაათანაბრა. ეგ არის, ათიოდ წუთში მისმა თანაგუნდელმა ნაზაროვმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და გოლების ამბავიც ამით დამთავრდა.

მოლდოვაში კი მუჯირისა და თარხნიშვილის „შერიფს“ ჩემპიონობამდე სულ ცოტა უკლია. ბოლო ტურში ტირასპოლელებმა ოტაჩის „ნისტრუს“ 3:2 მოუგეს. ორი კვირის წინ სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ მოლდოვის თასის ფინალში და მაშინაც შერიფელებმა მოიგეს, ოღონდ მატჩისშემდგომი პენალტებით. ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას კი კვლავაც 15-15 გოლით მეთაურობენ დათო მუჯირი და მისი თანაგუნდელი ბარბეროში.

**სოლომონ გულისაშვილი**



გიორგი დემეტრაძე გაისადაც პრიმერადივიზიონში ითამაშებს

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ბრეშა 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 16 | 2 | 5 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | ბილბაო 3:1 | 0 | | 3 | 0 | 13 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | სოკოლი 2:1 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 3 | 5 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | სოკოლი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | შ | ალანია 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ზურაბ ფოფხაძე | ალანია | ს | სპარტაკი 1:1 | 0 | | 5 | 0 | 11 |
| თორნიკე რუხაძე | ალანია | ს | სპარტაკი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | კრილია 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ურალანი 0:3 | 0 | | 6 | 0 | 3 |
| | კრისტალი | შ | შინიკი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 0 | 7 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ურალანი 0:3 | 90 | | 8 | 0 | 3 |
| | კრისტალი | შ | შინიკი 1:2 | 90 | | 9 | 0 | 7 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ურალანი 0:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | 3 |
| | კრისტალი | შ | შინიკი 1:2 | 90 | | 8 | 1 | 7 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | ს | ტომი 1:3 | 90 | | 5 | 0 | 17 |
| | ბალტიკა | ს | ურალანი 0:1 | 54 | შეცვალეს | 6 | 0 | 17 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | ს | ლოკომოტივი 1:2 | 0 | | 6 | 0 | 5 |
| | სპარტაკი | შ | ნ.ნოვგოროდი 3:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 4 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | დინამო 1:2 | 90 | | 21 | 2 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | დინამო 1:2 | 90 | 1 გოლი, პენ | 18 | 5 | 8 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | სტალი 0:1 | 0 | | 15 | 6 | 14 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | სტალი 0:1 | 0 | | 15 | 1 | 14 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | სტალი 0:1 | 0 | | 9 | 2 | 14 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | ს | შახტარი 0:0 | 0 | | ? | 0 | 6 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:2 | 0 | | 6 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:2 | 34 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:2 | 45 | შეცვალეს | 8 | 3 | 2 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:2 | 0 | | 3 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | სტალკერსი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუფრთხილდით სხვათა რეპუტაციას და საკუთარ ტყავს!

**გახდება** ბოლოს და ბოლოს „რომა“ იტალიის ჩემპიონი? რა მოხდა „პარმასა“ და „ვერონას“ შეხვედრაში, გუნდები გარიგებულები ხომ არ იყვნენ? და რას იზამს ბოლო ტურში ძალად წაგებაში ეჭვმიტანილი „პარმა“, საკუთარი უდანაშაულობისა და ხასიათის დასამტკიცებლად „რომას“ დიდ ბრძოლას შესთავაზებს? იქნებ ამით „იუვენტუსის“ ან სულაც „ლაციოს“ საქმე გაკეთდეს?

აი, ძირითადი კითხვები, როდესაც ლაპარაკი იტალიის პირველობაზეა, მაგრამ იტალიის პირველობა მხოლოდ სკუდეტოსთვის მებრძოლი გუნდების შეჯიბრება არ არის, სერია A-ს ცხრილში 18 გუნდია და მათი ერთი ნაწილი ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. ჯერჯერობით მათზე შევჩერდეთ:

„ბარი“ ერთი ხანია, უკვე სერია B-შია, დარჩა სამი საბედისწერო ადგილი, რომელიც ერთბაშად ხუთ გუნდს ემუქრება: მე-17 ადგილზე მყოფ „ნაპოლისა“ და მე-13-ეზე მყოფ „ლეჩეს“ შორის სხვაობა... ერთი ქულაა. „ნაპოლისა“ და „ლეჩეს“ გარდა კი არიან „ვიჩენცა“, „ვერონა“ და „რეჯინა“.

სერია B-დან ზევით ადიან ოთხნი: „ტორინო“, „პიაჩენცა“, „კიევო“ და „ვენეცია“ — ჩრდილო იტალიის გუნდები. საფეხბურთო გეოგრაფიით გატაცებული ადამიანები ამბობენ, ემანდ, ისე არ მოხდეს, ქვეყნის სამხრეთი სერია A-ს რუკიდან სულ წაიშალოსო. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ლეჩე“, „რეჯინა“ და „ნაპოლი“ გავარდებიან. ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული ისე მოხდეს, რომ საფეხბურთო იტალიის ელიტაში უკიდურეს სამხრეთად დედაქალაქი რომი დარჩეს.

ჩამოთვლილ გასავარდნთა შორის ყველაზე მსხვილი „ნაპოლია“. სეზონის დასაწყისში, სერია A-ში დაბრუნებული „ნაპოლის“ სანახავად, „სან პაოლოზე“ 40 ათასი ადამიანი მივიდა. ეს „იუვენტუსთან“ თამაშის დღეს მოხდა.

„ნაპოლი“ იტალიის ორგზის ჩემპიონია. ტიტულები გუნდმა დიეგო მარადონას დროს, 1987 და 1990 წლებში მოიპოვა, შემდეგ კი „ჩაეშვა“ და ათწლიანი ვიშვიშის საბაბი გახდა — ქომაგები ჩიოდნენ, კლუბის პატრონები საკმარისი რაოდენობით ფულს არ ხარჯავენო.

მოგეხსენებათ, კვირას, ბოლოსწინა ტურში, „ნაპოლიმ“ „რომას“ უმასპინძლა და ზეიმი ჩაუშალა — 2:2. „რომას“ რომ მოეგო, ჩემპიონი გახდებოდა. ამ შეხვედრას ნეაპოლელი გულშემატკივრები ასეთი ლოზუნგებით შეხვდნენ: „ფერლანიო და კორბელი, დაუყოვნებლივ დატოვეთ კლუბი“. ცნობისთვის: კორადო ფერლანიო „ნაპოლის“ ფინანსური ზურგია, ხოლო ჯორჯო კორბელი — პრეზიდენტი.

შემდეგ, გუნდმა „რომასთან“ ფრედ ითამაშა და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა ემილიანო მონდონიკომ განაცხადა: „ჩვენ გამოვამჟღავნეთ დიდი ბრძოლისუნარიანობა და დავამტკიცეთ, რომ რამდენიმე ძალიან ძლიერი ფეხბურთელი გვყავს. ახლა, ბოლო ტურში, ფლორენციაში ჩავალთ და გამარჯვებისთვის ყველაფერს გავიღებთ. ლოგიკა გვიჩვენებს, რომ სამი ქულის მომატება სერია A-ში დასარჩენად საკმარისი იქნება“.

ჯორჯო კორბელი კი, რომელსაც ქომაგები დაუყოვნებლივ გადადგომას სთხოვდნენ, ყურადღების სხვაგან გადატანას ცდილობს. კვირას, იმ დროს, როდესაც „ნაპოლი“ „რომას“ 2:2-ს ეთამაშებოდა, „პარმა“ შინ დამარცხდა „ვერონასთან“. ამ შედეგმა ძალიან ბევრს და უპირველეს ყოვლისა, კორბელის დიდი ეჭვები აღუძრა და გარიგებულ, საეჭვო თამაშზე დაიწყო საჯარო ლაპარაკი — „ვერონა“ ხომ „ნაპოლის“ კონკურენტია.

კორბელიმ განაცხადა, რომ „პარმას“ ჩემპიონატში მოტივაცია აღარ აქვს, ხოლო ვერონელთა პრეზიდენტი ჯამბატისტა პასტორელო „პარმას“ პრეზიდენტ ტანცის და მის ოჯახს კარგა ხანს სამსახურში ედგა (ტანცების ოჯახს რძის პროდუქტების ცნობილი კორპორაცია „პარმალატი“ ეკუთვნის).

„კორიერე დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კორბელიმ თქვა: „პარმიდან რეპორტაჟი არ მინახავს. იმედი მაქვს, რომ სინამდვილეში ყველაფერი პატიოსნად იყო, მაგრამ ცხოვრების ეჭვით გაგრძელება არ შეიძლება. მარტო მე ხომ არ მითქვამს, რომ ტანცის ყოფილი დაქირავებული თანამშრომელი დღეს „ვერონას“ პრეზიდენტია და გუნდში „პარმასგან“ ნასესხები ბევრი მოთამაშე ჰყავს. ორის ერთის წინააღმდეგ ბრძოლა კი პატიოსანი საქციელი არ არის. ფაქტია: ტანცისა და პასტორელოს ურთიერთობა მხოლოდ მეგობრობით არ შემოიფარგლება“.

ბევრისა რა მოგახსენოთ და ამჟამად „ვერონას“ ძირითად შემადგენლობაში „პარმასგან“ ნასესხები ორი მოთამაშეა, ადაილტონი და ემილიანო ბონაცოლი, თან ამ უკანასკნელს „პარმასთან“ არ უთამაშია.

და იცით, რა პასუხი მიიღო ბატონმა ჯორჯო კორბელიმ იტალიის ფეხბურთის ფედერაციისგან? მისი საკითხი სადისციპლინო კომიტეტს გადაეცა „სხვა კლუბთა რეპუტაციის შელახვის“ ბრალდებით.

თუმცა, რაც უნდა მოხდეს, „ნაპოლის“ პრეზიდენტისთვის მთავარი გუნდის სერია A-ში დატოვებაა, ამ საქმეში კი მას ცნობილი ბრაზილიელი გიუმაჟის, ედმუნდოსი ეიმედება.

ედმუნდო „ნაპოლიში“ შუა სეზონში მივიდა და თანდათანობით მოერგო კლუბს. ახლა ის უკვე კარგ ფორმაშია, მაგრამ გუნდში დარჩება თუ არა, ბოლო ტურზე დამოკიდებული. ბოლო ტურში, როგორც მოგახსენეთ, „ნაპოლი“ სტუმრად ეთამაშება „ფიორენტინას“ — ედმუნდოს ყოფილ გუნდს.

„ჩემთვის მთავარი „ნაპოლის“ მოგებაა და მწამს, ფლორენციაში ამას მოვახერხებთ — ამბობს ედმუნდო — უპირველესად იმიტომ, რომ ძლიერები ვართ და მეორეც იმიტომ, რომ „ფიორენტინას“ იტალიის თასის საპასუხო ფინალური მატჩი ექნება ახალი ჩატარებული“.

და „ლეჩე“? „ლეჩეს“ საქმე სერიოზულადაა, მას ბოლო ტურში „ლაციო“ ესტუმრება, „ლაციოს“ ამბავი კი მოგეხსენებათ, ჩემპიონობაზე ოცნებობს და სამი ქულა უნდა.

„რეჯინა“ „მილანს“ მასპინძლობს, „ვიჩენცა“ კი „პერუჯასთან“ მიდის — „პერუჯას“ ამ სეზონისგან აღარაფერი უნდა.

**ბაჩუნა ძიდია**



ემილიანო მონდონიკოს „ნაპოლიმ“ „რომას“ ჩემპიონობა გადაუვადა



ნაპოლი — რომა. მასპინძელმა ნიკოლა ამორუზომ ბრაზილიელ კაფუს ბურთი დაუმალა

## იტალია

### თასის ფინალი. საპასუხო მატჩი

### ფიორენტინა — პარმა (ΣΩ)

# 40 გრადუსიანი ამბავი

**დღეს** იტალიის თასის ფინალის საპასუხო მატჩია, „ფიორენტინა“ — „პარმა“. პირველი შეხვედრა პარმაში, „ტარდინის“ სტადიონზე, ფლორენციელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. ერთადერთი გოლი ყოფილმა პარმელმა ჯუზეპე ვანოლიმ გაიტანა.

„ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ და დარწმუნებული გახლავართ, არავისთვის არაფერი მოგვიპარავს. გამარჯვება დამსახურებული იყო. პირველ შეხვედრაშიც ყოველი ბურთისთვის თავგადაკლული ვიბრძოდით და მეორეშიც იგივე იქნება“ — განაცხადა „ფიორენტინას“ ახალგაზრდა თავკაცმა რობერტო მანჩინიმ, ხოლო ფლორენციელთა პორტუგალიელმა ვარსკვლავმა რუი კოშტამ სტუმრად მოგებას უმნიშვნელოვანესი ფაქტი უწოდა.

მანჩინის ოპონენტი, „პარმას“ მწვრთნელი რენცო ულივიერი კი პირველი შეხვედრის შემდეგ ბრძანებდა:

„ჩემს ფეხბურთელებს დიდებული თამაშისთვის მადლობა ვუთხარი. წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით, უფრო სწორად, გამარჯვების ღირსნი ვიყავით და მაინც, დაკარგული არაფერია, შედეგის ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნება ჯერ კიდევ შეგვიძლია“.

მოგეხსენებათ, საპასუხო თამაშის წინ ორივე გუნდმა წააგო სერია A-ს 33-ე ტურის შეხვედრა: „ფიორენტინამ“ რომში, „ლაციოსთან“ 0:3, ხოლო „პარმამ“ შინ „ვერონასთან“ 1:2. ეს, ალბათ, ძალთა დაზოგვით შეიძლება აიხსნას, „პარმას“ კი სულაც სამი ქულის განგებ გაცემაში დასდეს ბრალი.

მაგრამ „ფიორენტინას“ ბედმა გამოცდა მოუმზადა: გუნდის საუკეთესო ბომბარდირი და, სხვათა შორის, ყოფილი პარმელი, ენრიკო კიეზა ავად გახდა.

„მას სიცხე აქვს, 40 გრადუსი“ — თქვა ორშაბათს ფლორენციელთა ექიმმა მარჩელო მანძუოლიმ — „მე წამლები გამოვუწერე და ყოველგვარი ვარჯიში ავუკრძალე“.

ერთი სიტყვით, თუ კიეზა ვერ ითამაშებს, მასპინძლებს ისტორიაში მეექვსე თასის მოსაპოვებლად თავდაცვაზე მოუწევთ აქცენტის გაკეთება. ბოლოს „ფიორენტინა“ 1996 წელს ფლობდა ამ ეროვნულ ჯილდოს.

კიეზას მნიშვნელოვნების ნათლად წარმოდგენისთვის იმის თქმაც საკმარისია, რომ ამ ფორვარდმა მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ყოფილი მწვრთნელი, ფატიჰ თერიმი, სეზონის დასაწყისში ყოველთვის სასტარტო შემადგენლობაში არ ათამაშებდა, 22 გოლი გაიტანა. მოგეხსენებათ, ამაზე მეტი მხოლოდ მილანელ ანდრეი შევჩენკოსა და კიეზას პარმასდროინდელ პარტნიორს, ლაციოელ ერნან კრესპოს აქვთ გატანილი.

მაგრამ იქნება კიეზა თუ ვერა, „ფიორენტინა“ შეეცდება თასის მოპოვებას, ვინაიდან ეს მისთვის უეფას თასზე მოხვედრის გზაა, მაშინ, როდესაც „პარმას“ თავი ქუდში, უფრო ზუსტად კი ჩემპიონთა ლიგაში აქვს.

„ხალხი მახასიათებს, როგორც დიდ ფეხბურთელს, რომელმაც ბევრი ვერაფერი მოიგო. ამიტომაც, ძალიან მსურს ეს ჯილდო მოვიპოვო — ამბობს რუი კოშტა — იტალიის თასი ჩემთვის ჩემპიონთა ლიგაა“.

რუი კოშტას თანამემამულე სერჟიო კონსეისაუ კი „პარმას“ წევრია, ოღონდ მოედანზე არ იქნება, ის დაშავებულია. კიდევ ორი პარმელი, მატიას ალმეიდა და ლუიჯი სარტორი კი დღეს დილით გაივლიან საბოლოო სამედიცინო შემოწმებას.

სხვათა შორის, „პარმას“ თავკაცი რენცო ულივიერი ბავშვობიდან „ფიორენტინას“ გულშემატკივარია, მაგრამ, ბუნებრივია, ყველა ღონეს იხმარს, რათა გაიმეოროს ის, რაც 1999 წელს მოხდა — იტალიის თასის ფინალში პარმელებმა ფლორენციელები დაამარცხეს.

„ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რაც უნდა გავაკეთოთ — ორი გოლი უნდა შევაგდოთ — ამბობს ის და ცხოვრებაში პირველი ტიტულის მოპოვებაზე ოცნებობს — ერთი სული მაქვს ვნახო, როგორ მიუდგება ამ მატჩს მოწინააღმდეგე“.

ცნობისთვის: აქამდე მეტოქეები 37-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან „ფიორენტინამ“ 11 თამაში მოიგო, ხოლო „პარმამ“ — 12.

**ბაჩუნა ძიდია**



ენრიკო კიეზა (№20) ავად გამხდარა

# მირჩამ დარჩენა არჩია

**სტამბოლის** „გალათასარაის“ მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ უარყო ხმები, თითქოს იგი კლუბის დატოვებას აპირებდეს. რუმინელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში მინიმუმ ერთი წლით მაინც გააგრძელებს კონტრაქტს თურქულ კლუბთან, ხოლო ლაპარაკი მის შესაძლო გადასვლაზე ბუქარესტის „დინამოში“, „პორტუში“ ან კიდევ „ბარსელონაში“ ჭორია და მეტი არაფერი.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას ლუჩესკუმ აღნიშნა, რომ ბრაზილიელი მეგოლე მარიო ჟარდელი, ალბათ, შედარებით მდიდარ კლუბში გადავა, ამიტომ მას სრულფასოვანი შემცვლელი სჭირდება. ასეთად კი მას ბუქარესტის „დინამოში“ ეგულება, იგი მარიუშ ნიკულაეა, რომლის სანაცვლოდ რუმინული კლუბის მეპატრონეები საკმაოდ სოლიდურ თანხას ითხოვენ.

და მაინც, რუმინელი მწვრთნელისთვის მთავარი პრობლემა ჰაჯის გუნდიდან წასვლაა: „რა თქმა უნდა, მის სრულფასოვან შემცვლელს ჩვენ ვერსად ვიპოვით, მაგრამ შევეცდებით, დაახლოებით მსგავსი მოთამაშე მოვძებნოთ, ასეთად კი მეტად ნიჭიერი და პერსპექტიული სერგენ იალჩინი მიმაჩნია. ალბათ, სწორედ მას მოვიწვევთ გუნდში და ჰაჯის ადგილზე ვათამაშებთ“.



მირჩა ლუჩესკუ



ენცო ტროსერო

# თავისი კობი შვეიცარიელებსაც ჰყავთ

**ამას წინათ** გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევმა მატჩებმა არა ერთი მწვრთნელი შეიწირა. მათ შორისაა შვეიცარიელთა არგენტინელი დამრიგებელი ენცო ტროსეროც. ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელ პიერ ბენუას თქმით, ეროვნულ გუნდს 58 წლის კობი კუენი გაწვრთნის, რომელიც მანამდე შვეიცარიის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში მუშაობდა, ხოლო თავის დროზე ჯამარაულ-ყაველაშვილის „ციურიხში“ თამაშობდა.

არგენტინელი ტროსერო ოთხშაბათს შინ სლოვენიელებთან მარცხის მერე დაითხოვეს. ამ წაგებით შვეიცარიელებმა კორეა-იაპონიაში მოხვედრის შანსი ერთობ სათუო გაიხადეს. ითქვა კიდეც, კუენი გუნდს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად მოამზადებსო.

საინტერესოა, რომ კუენი 1989 წლის შემდეგ პირველი შვეიცარიელია, ვინც ამ ქვეყნის ნაკრებს გაუძღვება.

„პირველი თამაში აგვისტოში გველის — ამბობს კუენი — მანამდე ფეხბურთელებს შევხვდები და საფუძვლიანად დაველაპარაკები. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება“.

# დილით ფული, საღამოს ბრაზილია

## ამჯერად ბოკელებს ველარ გააცურებენ

**ლიბერტადორესის** თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი, რომელიც ორშაბათს ბუენოს აირესში გაიმართა „ბოკა ხუნიორსსა“ და ბრაზილიურ „პალმეირასს“ შორის ფრედ, 2:2 დასრულდა. საპასუხო თამაშის ჩატარება, რომელიც დღეისთვისაა დანიშნული, სათუო გახდა, რაკი „ბოკას“ ფეხბურთელებმა ბრაზილიაში ჩასვლაზე უარი განაცხადეს.

მიზეზად მიუღებელი ხელფასები დასახელდა. ფეხბურთელებს გუნდის ხელმძღვანელობის ცრუ დაპირებები ყელში ამოუვიდათ და პროტესტი ამ ფორმით გამოხატეს. ლიბერტადორესის თასის ახლანდელ მფლობელებს, ერთი წლის წინანდელი გამარჯვებისთვის დაწესებული პრემიები ჯერაც არ მიუღიათ — ისინი ვალდებულნი არიან, გადაგვიხადონ და თუ ასე არ მოიქცევიან, ჩვენ ბრაზილიაში არ ჩავალთ — ასეთია, ბოკელების მოთხოვნა.

არგენტინულ ფეხბურთში ასეთი გაფიცვები უცხო და გასაკვირი არ არის. წინა თვეში ქვეყნის ყველა კლუბის ფეხბურთელი გაიფიცა. ისინი კუთვნილ გასამრჯელოს ითხოვდნენ.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ხრიკია თუ მართალი?

## კარლოს რექსაჩი სჯობს: კუპერს, კაპელოს, ვენგერს, ბიანკის

**წინა** კვირაში ვწერდით, „ბარსელონამ“ კარლოს რექსაჩს მუშაობის გაგრძელება შესთავაზაო. ეს ესპანური პრესის გავრცელებული ცნობა იყო და კლუბის წარმომადგენელთა სიტყვებით გამყარებული არ გახლდათ.

კარლოს რექსაჩი და ხოსე რამონ ალესანკო მომავალ სეზონშიც „ბარსელონას“ მწვრთნელები იქნებიანო, განაცხადა პრეზიდენტმა ხუან გასპარმა, რითაც ფაქტობრივად ბოლო მოუღო იმ აჟიოტაჟს, რომელსაც ბოლო ხანს ეს საკითხი იწვევდა. „რექსაჩსა და ალესანკოს დიდხანს ვესაუბრე და ვფიქრობ, მათი გაშვების მიზეზი არ არსებობს. ჩემს გადაწყვეტილებას ისინი კმაყოფილნი შეხვდნენ“ — ესეც გასპარის სიტყვებია.

თუმცა, ალბათ, გამოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც გასპარის ნათქვამს ბოლომდე სარწმუნოდ არ მიიჩნევენ. მომავალ უქმეებზე „ბარსელონა“ „ვალენსიას“ მასპინძლობს და ეს თამაში ერთგვარად მცირე ფინალია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელის ვინაობა უნდა გაარკვიოს. ხუან გასპარმა ისიც თქვა, რექსაჩი თანამდებობაზე მაინც დარჩება, „ვალენსიასთან“ მატჩის შედეგის მიუხედავადო. ურწმუნოთა ეჭვის საბაბიც ესაა — ხომ არ ცდილობს პრეზიდენტი, უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ მწვრთნელი დაამშვიდოს და უცილობელი გამარჯვების მისაღწევად დამატებითი სტიმული მისცეს? ვფიქრობთ, ეს ეჭვი არცთუ უსაფუძვლოა.

სხვათა შორის, გასპარის ამ განცხადების კვალდაკვალ ტურინიდან ცნობა მოვიდა, „ბარსელონამ“ კარლო ანჩელოტის სამუშაო შესთავაზა და ორწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ ხუთი მილიონის გადახდაზე ყაბულსააო. გავიხსენოთ, რომ „იუვენტუსი“ გაისად ანჩელოტის გაშვებას აპირებს, რაზეც უკვე ითქვა და მის შემცვლელად მარჩელო ლიპი ეგულება.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „ბარსელონამ“ თავის დროზე ექტორ კუპერს, ფაბიო კაპელოს, არსენ ვენგერსა და კარლოს ბიანკისაც შესთავაზა მასთან მუშაობა და ყველასგან უარი მიიღო. ახლა კი ხუან გასპარი ამბობს: „დარწმუნებული ვარ, კარლოს რექსაჩი საუკეთესო არჩევანია კლუბისთვის“.

„რეალის“ მაგალითს ხომ არ მიბაძა „ბარსას“ პრეზიდენტმა? უელსელი ჯონ ტოშაკის მოხსნის შემდეგ დედაქალაქური გუნდი ძველ რეალელ ვისენტე დელ ბოსკეს ჩააბარეს და აი, შედეგიც — ჩემპიონთა თასი და პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა. ჰოდა, რაკი კარლოს რექსაჩი და ხოსე რამონ ალესანკო უფრო დიდი ბარსელონელები არიან, ვიდრე „რეალში“ დელ ბოსკე იყო, იქნებ აქედან რაიმე გამოვიდეს.

**გიორგი დარჯანია**





ხუან გასპარი

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

# რომამ სასჯელს გაუღიმა

**„რომას“** ხელმძღვანელობამ ძალიან გაიხარა, როდესაც კლუბის სახელზე საჯარიმო ქვითარი მიიღო. დედაქალაქურმა გუნდმა სამას ოცი ათასი გირვანქა უნდა გადაიხადოს ყალბი ევროკავშირული პასპორტების გამო. ამგვარი თანხა რომაელთა ჯიბეს ოდნავაც არ შეათხელებს და სალაპარაკოდაც არ ღირს იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მომხდარიყო. „რომას“ შემადგენლობაში ორი ყალბი პასპორტით ხელდამშვენებული ჯეელი — გუსტავო ბარტელტი და ფაბიო ჟუნიორი ბურთაობდა. თაღლითობისთვის კი გუნდებს ძალიან ხშირად თავდაუზოგავ ბრძოლებში მოპოვებულ ქულებსაც აკლებენ ხოლმე. ამგვარი სასჯელი რომაელთათვის ნამდვილი ღვთის რისხვა იქნებოდა. როგორც ვიცით, კლუბი სკუდეტოსკენ მსრბოლთ სათავეში უდგას და ქულების დაკლება შეიძლება ძვირად, დიდი ხნის მოწყურებული ჯილდოს დაკარგვითაც დასჯდომოდა.

ამიტომაც, „რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი მხიარულად დაყაბულდა ჯარიმის გადახდას, მით უმეტეს, რომ კლუბი ფულის საკუთარი ჯიბიდან ამოღებას სულაც არ აპირებს: „კმაყოფილი ვარ, რომ ყოველივე ამგვარად დასრულდა. კლუბმა ბარტელტისა და ფაბიო ჟუნიორის თაღლითობის შესახებ არაფერი იცოდა. ამ საქმეში სუფთანი ვართ და ფულიც დამნაშავეებმა, თავად ფეხბურთელებმა უნდა გადაიხადონ“ — შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს იოლად პოულობს სენსი.

„რომა“ გადარჩა. არავინ იცის, რა ბედი ეწევათ „მილანს“, „ლაციოს“, „უდინეზეს“, „ინტერის“, „სამპდორიასა“ და „ვიჩენცას“, ცრუ ევროკავშირელ ფეხბურთელებსა და მათ ამფოსნებს. საგანგებო კომისიის სხდომაზე თავდაპირველად „ვიჩენცას“ საკითხს განიხილავენ, შემდეგ „მილანსა“ და „სამპდორიას“ დაეთმობა ყურადღება. ხუთშაბათს „ინტერს“ მოუწევს თავის მართლება, პარასკევი „ლაციოსი“ იქნება. ყველაზე ბოლოს, 18 ივნისს, მართლმსაჯულება „უდინეზეს“ განსჯის. ყალბ პასპორტებთან დაკავშირებულ სკანდალს კი მრავალი სახელოვანი კაცი გაუსვრია.

ერთი კვირის განმავლობაში სხვებთან ერთად მილანელმა დიდამ, „ინტერის“ თავდამსხმელმა რეკობამ, „ლაციოს“ ვარსკვლავმა ვერონიმ, თვით დიდმა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმაც უნდა ამტკიცონ ის, რომ ევროკავშირული წესრიგის დარღვევაში, ევროპული პასპორტების გაყალბებაში არანაირი წვლილი არ მიუძღვით.

**გიორგი გამარდაშვილი**

# დე ბური თმის ღერს ჩაეჭიდა

NANDROLONE

**რამდენიმე** დღეც და ფრანკ დე ბურის ბედიც გადაწყდება. ჰოლანდიელმა, როგორც ვიცით, ორივე დოპინგტესტი ჩააგდო და ახლა განაჩენს ელის. ბევრი იყვირა, დამნაშავე არ ვარ, ნანდროლონიანი ხორცის ან ექიმების მოცემული აბების ხშირი მოხმარების გამო სისხლი ანაბოლიკებით გამიჯერდაო, მაგრამ ვინ დაუჯერა? არადა, ფეხბურთელი იმგვარად ირწმუნება, რომ კაცმა შეიძლება, მისი უდანაშაულობის ირწმუნოს.



ფრანკ დე ბური

„მე პატიოსანი კაცი ვარ და არასდროს არაფერი მიმიღია, რათა უფრო კარგად მეთამაშა. ჩემი დღევანდელი სათამაშო კლასი და პიროვნული იმიჯი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომაც ფრანკ დე ბურის დონემდე მისაღწევად არანაირი დოპინგი არ მჭირდება“ — რიხიანად აცხადებს „ბარსელონას“ ნახევარმცველი.

ალბათ, ფრანკი თავისი ქოჩრის ანალიზის პასუხმაც გაათამამა. მან დამოუკიდებელ ექსპერტს მიმართა და თმაში ნანდროლონის ვერანაირი კვალი ვერ აღმოუჩინეს. ტყუპისცალის აზრით, ეს ფაქტი სრულ უდანაშაულობას ადასტურებს, მაგრამ რა ვუყოთ ტესტ A-სა და ტესტ B-ს, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ „ტიტების“ კაპიტნის სისხლი მოწამლულია?

პასუხს ამ კითხვაზე სულ მალე, სავარაუდოდ, ხვალ გამართულ საგანგებო კომისიის სხდომის შემდეგ მივიღებთ. კომისიამ უნდა განსაზღვროს, ხშირად იღებდა თუ არა დე ბური ნანდროლონს და სასჯელის ვადაც ამის მიხედვით დადგინდება.

ფრანკ დე ბურს საკუთარი თმის დიდი იმედი აქვს: „თმის ლაბორატორიული შემოწმების შედეგები სულ მცირე იმას მაინც ამტკიცებს, რომ ნანდროლონის დიდი მოყვარული არ გახლავართ. გარწმუნებთ, ეს ნივთიერება სისხლში ნანდროლონიანი ხორცის, ანაც სამედიცინო აბებისგან გაჩნდა“. ახლახან, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომისიამ „თანამემამულე“ ძროხებს ანალიზი აუღო და თქვა, სუფთანი არიანო. ვერც ნაკრების სამედიცინო პერსონალსა და ბარსელონელ ექიმებს დავაბრალებთ რაიმეს. რაღა რჩება?

მაშ ასე, ფრანკ დე ბურს თმა ვერ გადაარჩენს. სუფთა ქოჩორმა შესაძლოა, მისი დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა შეამციროს — მეტი არაფერი.

**გიორგი გამარდაშვილი**

# პრემიერლიგური მიდი-მოდი

## ინგლისი

**11 მილიონს** გადავიხდითო, თქვა „ჩელსის" თავკაცობამ. „ვესტ ჰემიც" თითქოს ყაბულსაა. ერთი ისაა დარჩა, თავად მოთამაშე დაითანხმონ, ამას კი ცოტა დრო სჭირდება, ვინაიდან ფრენკ ლამპარდი შვებულებაშია და მასთან დაკავშირება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. „მალე გავიგებთ, სურს თუ არა ფრენკს ჩვენთან თამაში და მაშინ უკვე პირად კონტრაქტზეც დავილაპარაკებთ" — თქვა ჩელსელთა აღმასრულებელმა დირექტორმა კოლინ ჰაჩისონმა და ისიც დაადასტურა, რომ 22 წლის ინგლისელ ნახევარმცველთან ერთად მისი კლუბი „ბარსელონას" ფრანგ ემანუელ პეტის გადმობირებასაც ცდილობს.

მოკლედ, პრემიერლიგაში თამაშები არ ტარდება, თორემ ცხოვრება, ძირითადად კაბინეტებში, მაინც დუღს. თუმცა გაჩარხულ ტრანსფერთა რაოდენობა ჯერ არც ისე შთამბეჭდავია, აგვისტომდე დიდი დროა და კიდევ არაერთი გარიგება შედგება. ქვემოთ უკვე შემდგარ და მოსალოდნელ ტრანსფერთა ნუსხას შემოგთავაზებთ (ფასები ყველგან გირვანქებშია მოცემული).

**ტედი შერინგემი:** „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „ტოტენჰემში" უფასოდ დაბრუნდა;

**უილიამ გალასი:** „ჩელსიმ" შეიძინა ფრანგული „მარსელიდან" 6,2 მილიონად;

**ნიკოლა მედინა:** „სანდერლენდში" გადავიდა „არგენტინოს ხუნიორსიდან" 3,5 მილიონად;

**შონ ბარტლეტი:** გასულ სეზონშიც „ჩარლტონში" თამაშობდა, თუმცა „ციურიხიდან" იჯარით იყო გაშვებული. ახლა „ჩარლტონმა" შვეიცარიულ კლუბს 2 მილიონი გადაუხადა და სამხრეთაფრიკელი დაისაკუთრა;

**კარსტენ ფრედგაარდი:** „სანდერლენდმა" ნახევარ მილიონად იყიდა დანიური „კოპენჰაგენიდან";

**გუსტავო პოიეტი:** მილიონნახევრად შეიძინა „ტოტენჰემმა" ლონდონისავე „ჩელსისგან";

**ჰასან კაჩლული:** „საუთჰემპტონის" წამყვანი ნახევარმცველი თავისუფალი აგენტია. მაროკოელის ხელში ჩაგდება „დერბი ქაუნთის" სურს. გუშინწინ მოლაპარაკებები დაიწყო;

**იონ არნე რიისე:** „მონაკოს" დანიელს „ფულემი" ეპატიჟება და ფრანგულ გუნდს 4 მილიონს სთავაზობს;

**ანდერს სვენსონი:** თითქმის გადაწყვეტილია, რომ შვედური „ელფსბორგის" 24 წლის ნახევარმცველს „საუთჰემპტონი" იყიდის. გარიგება 700 ათასადაა შეფასებული;

**ლილიან ტურამი:** „მანჩესტერ იუნაიტედს" 14 მილიონი აქვს მზად „პარმას" ფრანგი მცველის შესაძენად;

**დენის უაიზი:** „ჩელსის" კაპიტანი „ლესტერს" სურს და 2 მილიონის გადახდაზე ყაბულსაა;

**ლუიშ ბოა მორტე:** „საუთჰემპტონის" პორტუგალიელი თავდამსხმელი „ფულემსა" და პორტუგალიურ „ბენფიკას" სურთ. ღირს 3 მილიონი;

**ირჟი დუდეკი:** „ფეიენოორდის" პოლონელი მეკარე „არსენალს" დევიდ სიმენის შემცვლელად ესახება და 5,7 მილიონს ჩამოდის, თუმცა დუდეკს თვალი „ბარსელონამაც" დაადგა;

**კირონ დაიერი:** 20 მილიონად ღირებული ნახევარმცველში „მანჩესტერ იუნაიტედი" ფულს და დუაიტ იორკს იხდის, „ლიდსი" კი — ფულს და მაიკლ ბრიჯისს. „ნიუკასლი" ჯერჯერობით უარზეა.

**ფრენსის ჯეფერსი:** სქოთი თავდამსხმელი „ევერტონმა" ტრანსფერზე დააყენა და 8 მილიონს აფასებს. „ნიუკასლი" თანახმაა, თუმცა თავად ჯეფერსს „არსენალში" გადასვლა სურს;

**ფაბრიციო რავანელი:** 32 წლის იტალიელი, შესაძლოა, პრემიერლიგაში დაბრუნდეს, თუ მისმა მსურველმა „დერბი ქაუნთიმ" ვეტერანის მოთხოვნები შეასრულა. დაინტერესებულია „ლესტერიც".

**თუგაი ქერიმოღლუ:** „რეინჯერსის" ნახევარმცველი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტის პასუხს ელის. თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, „ასტონ ვილაში" ითამაშებს;

**კრის კირკლენდი:** გავარდნილი „ქოვენტრისა" და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე რა ხანია, „ლივერპულს" სურს. შეფასებულია 7 მილიონად,

**მაგნუს ჰედმანი:** „ქოვენთრიში" არც ძირითად მეკარეს სურს დარჩენა. შვედი იტალიურ „ფიორენტინასთან" აწარმოებს მოლაპარაკებას, ფასი კი 4 მილიონია;

**რონი იონსენი:** „მანჩესტერ იუნაიტედის" ნორვეგიელი ცენტრალური მცველი გლენ ჰოდლის ინტერესების მორიგი ობიექტია. წინააღმდეგნი არც მანჩესტერელები არიან, თუმც კი 3 მილიონს ითხოვენ.

**გიგა ძოგანიძე**

## გულნატკენი კაცის მონოლოგი

**„ტოტენჰემში"** აღარ ვითამაშებ" — ეს სიტყვები 26 წლის ინგლისელ ფეხბურთელ სოლ კემპბელს ეკუთვნის. ცოტა ხნის წინ კემპბელს „ტოტენჰემთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტი გახდა. ძველ გუნდთან ხელშეკრულების გაგრძელებაში მან გასამრჯელოდ კვირაში 100 000 გირვანქა მოითხოვა.

„ტოტენჰემს" ამდენი ეძვირა, რამაც ფეხბურთელი აღაშფოთა და ზემოთ ნახსენები სიტყვებიც მაშინ თქვა.

არადა, თითქოს კლუბი უფრო უნდა იყოს აღშფოთებული, რადგან პრემიერლიგაში ვერ იპოვით ფეხბურთელს, ამხელა ხელფასი რომ ჰქონდეს, მაგრამ კემპბელის არგუმენტიც მყარია, ჩემნაირი ფეხბურთელის ყიდვა ბევრად ძვირი დაგიჯდებათ, ამიტომ იმ პოტენციური დანახარჯის ნაწილი მომეცითო. აქვე აღვნიშნოთ, რომ კემპბელისთვის ინგლისში „არსენალი", „ლივერპული" და „მანჩესტერ იუნაიტედი" იბრძვიან, უცხოურ კლუბთაგან კი მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა" აქტიურობენ.

კემპბელი კიდევ იმას აღუშფოთებია, რომ „ტოტენჰემის" მესვეურები უდიერად მოექცნენ, როცა მისი წინადადება მოისმინეს. „ათი წელია, კლუბს ვემსახურები — ამბობს კემპბელი — ისინი კი ისეთ კომენტარებს აკეთებენ, თითქოს გუშინ მივსულიყავი. კიდევ კარგი, ქომაგთა მხარდაჭერას ვგრძნობ, მაგრამ მაინც ძალიან გაწბილებული ვარ. მე ამას არ ვიმსახურებ".

**ლუკა ბეგეჯკორი**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## არგენტინა

### კლაუსურა

მე-19 ტური: სან ლორენსო — უნიონი 2:1; რივერ პლეიტი — ლანუსი 1:2; ესტუდიანტესი — ბოკა ხუნიორსი 1:1; ინდეპენდიენტე — რასინგი 0:1; როსარიო სენტრალი — ბელგრანო 1:3; კოლონი — ალმაგრო 2:3; ჩაკარიტა ხუნიორსი — არგენტინოს ხუნიორსი 2:1; ტალერესი — ნიუელს ოლდ ბოიზი 1:1; ველეს სარსფილდი — ურაკანი 2:0; ლოს ანდესი — ხიმნასია (ლა პლატა) 3:2

**ცხრილს** თუ ჩავხედავთ და ისიც ვიცით, რომ არგენტინის ჩემპიონატიდან სეზონის ბოლოს სამი გუნდი ვარდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი „ინდეპენდიენტე", „ხიმნასია" და „როსარიო" არიან. მაგრამ არც ასეა საქმე.

არგენტინული დებულებით, გუნდებს ბოლო სამი სეზონის შედეგებს უჯამებენ, მერე საშუალო კოეფიციენტი გამოჰყავთ და სამი უარესი გუნდიც ამის მიხედვით ვლინდება. ასე რომ, დივიზიონის დატოვება „ლოს ანდესს" და „ალმაგროს" მოუწევთ, მესამე გუნდს კი პლეი ოფი გამოავლენს.

ეს ცხრილის ქვევით, ჩემპიონს კი ფორმულები არ სჭირდება და ის „სან ლორენსოა".

ბოლო ტურს, როგორც არგენტინაში საზოგადოდ ხდება ხოლმე, მშვიდად არ ჩაუვლია. „ლოს ანდეს" — „ხიმნასიას" მატჩის დასრულებას ორი წუთი უკლდა, როცა 150-მდე ფანი მინდორზე შეიჭრა და რამდენიმე ფეხბურთელი... უტრუსოდ დატოვა.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 19 | 15 | 2 | 2 | 43:17 | 47 |
| რივერ პლეიტი | 19 | 13 | 2 | 4 | 48:27 | 41 |
| ბოკა ხუნიორსი | 19 | 8 | 6 | 5 | 29:26 | 30 |
| არგ. ხუნიორსი | 19 | 8 | 5 | 6 | 27:22 | 29 |
| რასინგი | 19 | 7 | 8 | 4 | 21:20 | 29 |
| ჩაკარიტა | 19 | 8 | 5 | 6 | 21:25 | 29 |
| ურაკანი | 19 | 8 | 4 | 7 | 28:28 | 28 |
| ველესი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:24 | 27 |
| ესტუდიანტესი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:24 | 27 |
| ალმაგრო | 19 | 7 | 5 | 7 | 27:27 | 26 |
| ტალერესი | 19 | 7 | 4 | 8 | 23:23 | 25 |
| ოლდ ბოიზი | 19 | 7 | 3 | 9 | 27:28 | 24 |
| კოლონი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:27 | 23 |
| ლანუსი | 19 | 6 | 4 | 9 | 28:30 | 22 |
| ლოს ანდესი | 19 | 5 | 6 | 8 | 24:32 | 21 |
| უნიონი | 19 | 5 | 5 | 9 | 32:36 | 20 |
| ბელგრანო | 19 | 5 | 5 | 9 | 18:26 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 19 | 5 | 4 | 10 | 18:21 | 19 |
| ხიმნასია | 19 | 4 | 6 | 9 | 22:28 | 18 |
| როსარიო | 19 | 4 | 5 | 10 | 24:38 | 17 |



REUTERS ბუენოს აირესიდან

„სან ლორენსოს" გამარჯვებას ქომაგები დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ



# ჰიცფელდმა ჯერ არ იცის

**ოტმარ ჰიცფელდი** მალიორკაზე მზეს ეფიცხება, გოლფს თამაშობს, საღამოობით კი ძვირიან კლუბ „ოქროს ჭიშკარს" სტუმრობს. „ბაიერნის" მწვრთნელს ამგვარი დასვენების საშუალებაც აქვს და ხალისიც, ვინძლო, ხასიათს ვერც ამასწინანდელი ძარცვა უფუჭებს.

ამ დროს მანჩესტერში, „ბაიერნის" დაუძინებელი მტრის „იუნაიტედის" ოფისში ბობოლა ძიები ჰიცფელდის გადაბირების მზაკვრულ გეგმას ამზადებენ. მზაკვრულს — ფრანც ბეკენბაუერისთვის.

გაზეთმა „დეილი სტარმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ სერ ალექს ფერგიუსონის სავარაუდო მემკვიდრეთა სიაში „იუნაიტედის" მესვეურებს პირველ ნომრად ჰიცფელდი ჩაუწერიათ.

საინტერესოა, რომ თავად ფერგიუსონს, რომელიც ერთი წლის მერე „მანჩესტერიდან" წასვლას აპირებს, დიდად უქია ჰერ ოტმარი და მისთვის ბრწყინვალე სტრატეგი უწოდებია. გავიხსენოთ, რომ ოტმარ ჰიცფელდის გუნდებმა, „დორტმუნდმა" და „ბაიერნმა", ორჯერ გამოაგდეს ფერგიუსონის გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან.

„მანჩესტერს" ჰიცფელდამდე იოჰან კრუიფისთვისაც დაედგა თვალი და ეგებ, სარფიანი კონტრაქტიც შეეთავაზებინა, მაგრამ ჰოლანდიელის BBC-სთვის მიცემულმა ინტერვიუმ, ალბათ, სურვილი დააკარგვინა.

კრუიფმა ინტერვიუში თქვა, „მანჩესტერი" სრულებით არ მაინტერესებს და ბოლომდე გულახდილი რომ ვიყო, საერთოდ აღარ ვაპირებ მწვრთნელად მუშაობასო.

რაც შეეხება კრუიფის „მანჩესტერში" მიწვევის იდეას, იგი ამ ათიოდე დღის წინ ერიკ კანტონამ წამოაყენა.

მწვრთნელის საკითხის გარდა „იუნაიტედში" ახალ ფეხბურთელთა გადაბირებაზეც მუშაობენ და ამ კვირაში ხუან სებასტიან ვერონის აგენტსაც ელიან. ამბობენ, 26 წლის არგენტინელი 28 მილიონი დოლარი ღირს, რაც ინგლისელებს სულაც არ ეძვირებათ, მაგრამ ფეხბურთელს პირად კონტრაქტზე ვერ უთანხმდებიანო.

საქმე ისაა, რომ ვერონს „ლაციოში", დაუზუსტებელი მონაცემებით, კვირაში 84 ათას დოლარს უხდიან. ცხადია, არგენტინელი და მისი აგენტი ცდილობენ, „მანჩესტერს" ამაზე მეტი დასტყუონ, რაც თავის მხრივ კლუბის სახელფასო პოლიტიკას არევს. გავიხსენოთ, რამხელა სკანდალი მოჰყვა იმას, რომ როი კინს კვირაში ორმოცდაათი ათასი გირვანქა დაუნიშნეს.

## იუგოსლავია

32-ე ტური: ზემუნი — ჰაიდუკი 4:0; ოფკ — რადნიჩკი (ნიში) 4:0; რადი — ბუდუჩნოსტი 4:1; ცრვენა ზვეზდა — ნაპრედაკი 9:1; ზეტა — რადნიჩკი (კრაგუევაცი) 1:0; მილიციონარი — ჟელეზნიკი 1:2; ჩუკარიჩკი — პარტიზანი 2:3; სუტიესკა — სარტიდი 2:1; ვოივოდინა — ობილიჩი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 32 | 26 | 4 | 2 | 87:18 | 82 |
| პარტიზანი | 32 | 27 | 1 | 4 | 88:31 | 82 |
| ობილიჩი | 32 | 18 | 5 | 9 | 48:35 | 59 |
| სარტიდი | 33 | 17 | 3 | 13 | 48:44 | 54 |
| ოფკ | 32 | 14 | 5 | 13 | 48:40 | 47 |
| სუტიესკა | 32 | 14 | 4 | 14 | 47:57 | 46 |
| ვოივოდინა | 33 | 12 | 8 | 13 | 47:36 | 44 |
| ჟელეზნიკი | 32 | 12 | 8 | 12 | 46:51 | 44 |
| ჰაიდუკი | 32 | 12 | 5 | 15 | 40:44 | 41 |
| ზემუნი | 32 | 11 | 8 | 13 | 36:42 | 41 |
| ჩუკარიჩკი | 32 | 12 | 3 | 17 | 38:48 | 39 |
| ზეტა | 32 | 10 | 9 | 13 | 35:46 | 39 |
| რადი | 32 | 11 | 5 | 16 | 44:54 | 38 |
| რ. კრაგუევაცი | 32 | 11 | 5 | 16 | 33:49 | 38 |
| ბუდუჩნოსტი | 32 | 10 | 5 | 17 | 35:41 | 35 |
| ნაპრედაკი | 32 | 7 | 10 | 15 | 34:59 | 31 |
| მილიციონარი | 32 | 8 | 5 | 19 | 27:45 | 29 |
| რ. ნიში | 32 | 8 | 5 | 19 | 26:57 | 29 |

## რუმინეთი

29-ე ტური: ბრაშოვი — გლორია 2:0; როკარი — ფორესტა 3:2; დინამო — უნივერსიტატია 3:1; პეტროლული — ასტრა 3:1; ბაკეუ — ნაციონალი 3:2; არჯეში — რაპიდი 0:2; გაც მეტანი — სტიაუა 1:3; ჩაჰლაული — ოცელული 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 29 | 17 | 8 | 4 | 53:29 | 59 |
| დინამო | 29 | 15 | 6 | 8 | 53:40 | 51 |
| ბრაშოვი | 29 | 15 | 5 | 9 | 33:24 | 50 |
| რაპიდი | 29 | 12 | 10 | 7 | 37:25 | 46 |
| არჯეში | 29 | 12 | 9 | 7 | 39:39 | 45 |
| გლორია | 29 | 12 | 4 | 13 | 42:42 | 40 |
| პეტროლული | 29 | 12 | 4 | 13 | 34:34 | 40 |
| ნაციონალი | 29 | 12 | 4 | 13 | 38:40 | 40 |
| ჩაჰლაული | 29 | 9 | 11 | 9 | 36:39 | 38 |
| უნივერსიტატია | 29 | 10 | 8 | 11 | 31:37 | 38 |
| ასტრა | 29 | 10 | 7 | 12 | 37:33 | 37 |
| ოცელული | 29 | 9 | 8 | 12 | 30:39 | 35 |
| ბაკეუ | 29 | 9 | 7 | 13 | 38:44 | 34 |
| როკარი | 29 | 10 | 4 | 15 | 40:53 | 34 |
| ფორესტა | 29 | 7 | 12 | 10 | 38:43 | 33 |
| გაც მეტანი | 29 | 3 | 9 | 17 | 21:39 | 18 |

### ამხანაგური მატჩი

**იამაიკა 4:1 კუბა**

1:0 ლოუ (19), 2:0 გარდნერი (32), 3:0 ა. უილიამსი (38), 3:1 მ. გონსალესი (60), 4:1 ლოუ (85პ)

## უნგრეთი

### მეორე ეტაპი

მე-19 ტური: ჰონვედი — ფერენცვაროში 0:0; შოპრონი — ვაშაში 1:0; დუნაფერი — დებრეცენი 2:1; მტკ — დიორ ეტო 1:2; ზალაეგერსეგი — ტატაბანია 3:2; უიპეშტი — ვიდეოტონი 5:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 20 | 11 | 2 | 7 | 34:33 | 40 |
| ფერენცვაროში | 19 | 9 | 8 | 2 | 29:12 | 39 |
| უიპეშტი | 19 | 9 | 4 | 6 | 36:33 | 36 |
| ვაშაში | 19 | 8 | 6 | 5 | 33:27 | 34 |
| დიორ ეტო | 19 | 9 | 5 | 5 | 27:25 | 34 |
| ჰონვედი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:24 | 33 |
| მტკ | 19 | 7 | 5 | 7 | 24:17 | 32 |
| ვიდეოტონი | 19 | 8 | 2 | 9 | 30:28 | 28 |
| შოპრონი | 19 | 6 | 6 | 7 | 20:21 | 27 |
| ზალაეგერსეგი | 19 | 6 | 7 | 6 | 26:26 | 26 |
| დებრეცენი | 19 | 5 | 2 | 12 | 28:41 | 20 |
| ტატაბანია | 20 | 1 | 2 | 17 | 18:49 | 11 |

## უკრაინა

24-ე ტური: მეტალურგი (მარიუპოლი) — კარპატი 2:0; მეტალისტი — მეტალურგი (დონეცკი) 2:0; დნიპრო — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 2:0; კრივბასი — ვორსკლა 1:1; სტალი — ნივა 1:0; ტავრია — დინამო 1:2; შახტარი — ცსკა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 19 | 4 | 2 | 56:16 | 61 |
| შახტარი | 24 | 17 | 6 | 1 | 61:20 | 57 |
| დნიპრო | 25 | 17 | 4 | 4 | 36:16 | 55 |
| მ. დონეცკი | 25 | 11 | 9 | 5 | 29:21 | 42 |
| მ. მარიუპოლი | 25 | 12 | 4 | 9 | 35:26 | 40 |
| ცსკა | 24 | 9 | 9 | 6 | 28:22 | 36 |
| მ. ზაპოროჟიე | 25 | 8 | 8 | 9 | 26:30 | 32 |
| ტავრია | 25 | 7 | 9 | 9 | 22:31 | 30 |
| მეტალისტი | 24 | 7 | 7 | 10 | 26:36 | 28 |
| კარპატი | 25 | 8 | 3 | 14 | 31:41 | 27 |
| კრივბასი | 25 | 6 | 7 | 12 | 22:35 | 25 |
| ვორსკლა | 25 | 5 | 6 | 14 | 17:29 | 21 |
| სტალი | 25 | 3 | 5 | 17 | 18:48 | 14 |
| ნივა | 24 | 2 | 3 | 19 | 20:56 | 9 |

## ლიტვა

მე-14 ტური: ეკრანასი — კაუნასი 0:1; ატლანტასი — ჟალგირისი 3:1; დაინავა — ვეტრა 3:2; ნევეჟისი — გელეჟინისი 1:1; საკალასი — ინკარასი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 14 | 11 | 2 | 1 | 30:5 | 35 |
| ატლანტასი | 14 | 10 | 2 | 2 | 29:13 | 32 |
| ჟალგირისი | 14 | 9 | 2 | 3 | 23:14 | 29 |
| ეკრანასი | 15 | 7 | 3 | 5 | 26:16 | 24 |
| ნევეჟისი | 14 | 5 | 5 | 4 | 11:13 | 20 |
| ინკარასი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:16 | 17 |
| საკალასი | 15 | 4 | 4 | 7 | 16:22 | 16 |
| გელეჟინისი | 14 | 3 | 2 | 9 | 11:17 | 11 |
| ვეტრა | 14 | 3 | 1 | 10 | 13:31 | 10 |
| დაინავა | 14 | 1 | 2 | 11 | 12:42 | 5 |

# სტაბილიზაციიდან ჩემპიონთა ლიგისკენ

*მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი, საფრანგეთისა და იტალიის ჩემპიონი, „ლურჯებში" ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელი (103), საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი და კიდევ ბევრი ტიტულის მფლობელი დიდიე დეშამპი ფეხბურთელის კარიერას დაემშვიდობა. ამიერიდან იგი „მონაკოს" გაწვრთნის, სადაც ორშაბათს ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა, რადგან ჯერჯერობით მწვრთნელობის ლიცენზია არ გააჩნია. არადა, დეშანს „ვალენსიასთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა. თუმცა „დალლილი" ბასკის გადაბირება სათავადოს კლუბს არაფერი დაჯდომია, რადგან ესპანელებს იგი თავად მოელაპარაკა. და როგორ იქნება ახალ ამპლუაში? ამას ყველაზე უკეთ თავად „დედე" გვეტყვის:*



REUTERS მონტე კარლოდან

**ჩვენს თანამშრომლობას გაუმარჯოს: „მონაკოს" პრეზიდენტი ჟან ლუი კამპორა და დიდიე დეშამპი**

**— დიდიე, რატომ გადაწყვიტეთ ასე უეცრად ბუცების კედელზე ჩამოკიდება?**

— უკანასკნელი კვირეებია, ჩემი სხეულის შესაძლებლობებში ეჭვი შემეპარა. ფეხბურთელობის გაგრძელება უბრალოდ „გაგრძელებისთვის" არ მინდოდა. თანაც თითქმის ყველაფერი მოვიგე, რაზეც კი შეიძლება ფეხბურთელმა იოცნებოს. ოქტომბერში 33 წლისა შევსრულდები. უკვე 17 წელია, პროფესიონალი ვარ. ამ ხნის განმავლობაში ჩემს ორგანიზმს ძალიან ბევრს ვთხოვდი და ის უკვე ტანჯვას იწყებდა. დრო იყო, გავჩერებულიყავი.

**— თქვენი აზრით, კარგი ფეხბურთელი, აუცილებლად მწვრთნელიც კარგი იქნება?**

— არა. მე ფეხბურთს ძალიან კარგად ვიცნობ, თუმცა გუნდის კარგად თავკაცობამდე კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო. დიდად ვიქნები დამოკიდებული ფეხბურთელებზე. თუ ისინი ყველა ჩემ შენიშვნასა და რჩევას გაითავისებენ, ძალიან კარგი. ამასთანავე ჩემი თანაშემწეებისგანაც ბევრს ველი.

**— თუ წარმოგიდგენიათ, როგორი უნდა იყოს „მონაკო" 2001-2002 წლების სეზონში?**

— მინდა, რომ მან რაც შეიძლება, უკეთესი შედეგი აჩვენოს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „მონაკო" იტალიური ყაიდისა გახდება. მე ამის თქმა ახლა არ შემიძლია. ჯერ ფეხბურთელები უნდა ვნახო საქმეში და ამ კითხვაზე პასუხსაც მერე უკეთ გაგცემთ.

**— თქვენ საფრანგეთის ნაკრებზე ძალიან დიდი გავლენა გაქვთ. რომელიმე თქვენს მეგობარს ხომ არ გადაიბირებთ?**

— „ლურჯების" უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ჩემი ძმაკაცია, მაგრამ მარტო ძმაკაცობისთვის რომელიმე გუნდში გადასვლა წარმოუდგენელია. ხოლო თუ კლუბის პრეზიდენტი ჟან-ლუი კამპორა საფრანგეთის ნაკრების წევრებს ფინანსურად დააინტერესებს, ყველაფერია მოსალოდნელი.

**— რა მიზნებს დაუსახავთ „მონაკოს"?**

— მინდა, კლუბში სტაბილიზაციას მივაღწიო და ჩემპიონთა ლიგის საგზური ყოველწლიურად მოვიპოვოთ. ამ ტურნირში მონაწილეობა აუცილებლობად მიმაჩნია „მონაკოსთვის". მომავალ სეზონში ნამდვილად უნდა მოვხვდეთ სამეულში, ხოლო თუ ოქროს მედლებსაც გამოვკრავთ ხელს, ეს უკვე უდიდესი წარმატება იქნება.

**გაგი გურული**



**ფეხბურთის ...**

**ინგლისური** „ტოტენჰემის" ახალდანიშნულ მწვრთნელ გლენ ჰოდლს კრისტიან ციგეს „უაით ჰართ ლეინზე" გადაბირება განუზრახავს. გერმანელი მცველი ამჟამად „ლივერპულშია", სადაც იგი 5,5 მილიონი გირვანქის საფასურად შარშან აგვისტოში „მიდლსბროდან" გადაბარგდა. თუმცა ციგემ „ლივერპულის" ძირითადში მხოლოდ თერთმეტი მატჩი ითამაშა. მას წლევანდელ ლივერპულურ სამ ფინალშიც არ უთამაშია. მიუხედავად ამისა, ციგე ჟერარ ულიესთან აპირებს დალაპარაკებას, რათა საბოლოოდ გაარკვიოს, არის თუ არა მისი ადგილი „ენფილდზე". „ტოტენჰემის" გარდა კრისტიან ციგეს ყიდვით მიუნხენის „ბაიერნიც" დაინტერესებულა.

**კვიპროსის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი სტავროს პაპადოპულოსი გადადგა. მწვრთნელი და მისი შეგირდები პორტუგალიაში სამარცხვინო მარცხის შემდეგ მასმედიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია. კვიპროსმა ესტონელებთანაც შინ ფრედ ითამაშეს და თავიანთ შესარჩევ ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებიან. პაპადოპულოსი ნაკრებიდან წასვლის შემდეგ „აეკ ლარნაკას" ჩაუდგა სათავეში, რომელსაც 1998-99 წლებში წვრთნიდა.**

**ავსტრალიის** ნაკრების მწვრთნელი ფრენკ ფარინა ეროვნულ გუნდში მარკ ვიდუკასა და ჰარი კიუელის გამოძახებას აპირებს. ისინი მწვრთნელს ახალ ზელანდიასთან საპლეიოფო მატჩში დასჭირდება, რომლებიც 20 და 24 ივნისს გაიმართება. ავსტრალიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ოკეანეთის საკვალიფიკაციო ჯგუფში გაიმარჯვა. ტონგას, ფიჯის, სამოასა და ამერიკის სამოას 66 ბურთი გაუტანა, საკუთარ კარში კი ერთიც არ მიუღია. ზელანდია — ავსტრალიის მატჩებში გამარჯვებული სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში მეხუთე ადგილზე გასულს შეეცილება მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს.

**გერმანულმა „კოტბუსმა" ბერლინის „ჰერტადან" ნახევარმცველი სიქსტენ ვეიტი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბირა. 31 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ იგი ცოტა ხნის წინ თურქულ „ბეშიქთაშთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ ვეიტმა ბოლო მომენტში აზრი შეიცვალა და გერმანიაში დარჩენა ამჯობინა. ბუნდესლიგაში ახალაღზევებულმა „ზანკტ პაულმა" კი ახალგაზრდა ნიგერიელი ადამუ იაკუბუს ტრანსფერი წარმატებით დაასრულა და რეგიონალური ლიგის კლუბ „ვატენშაიდს" სანაცვლოდ 210 ათასი გირვანქა გადაუხადა. 19 წლის მცველმა სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.**

**ფრანგი** ნახევარმცველი უსმან დაბო „ვიჩენცას" დატოვებს და კარიერას სავარაუდოდ, სერია A-ში აღზევებულ „ტორინოში" გააგრძელებს. თუმც მისი სამშობლოში დაბრუნება „მონაკოსაც" სურს. შეგახსენებთ, რომ დაბო მილანის „ინტერის" ღირსებას იცავდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში უთამაშებლობის გამო კლუბი გამოიცვალა. „ინტერის" კიდევ ერთი ფრანგი ლეგიონერი, ბენუა კოე კი „სან სიროს", ალბათ, მალე დატოვებს და „ბოლონიაში" გადავა, სადაც სამწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. „მონაკო" მასაც ეპატიჟება.

**გერმანული „ბილდის" ცნობით, „ბარსელონა" ძლიერაა დაინტერესებული მიუნხენის „ბაიერნის" მცველ პატრიკ ანდერსონით და თანახმაა, გერმანიის ჩემპიონს 10 მილიონი დოლარი გადაუხადოს, ოღონდაც შვედი ხელში ჩაიგდოს. „ბაიერნს" აქამდე არაერთხელ განუცხადებია, რომ წამყვან მოთამაშეებს არ გაყიდდა, თუმცა შეთავაზებულ თანხაზე შესაძლოა, დათანხმდეს. მით უმეტეს, რომ ანდერსონს კლუბთან კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უსრულდება და შეიძლება მიუნხენელებმა მის სანაცვლოდ ვერაფერი მიიღონ. თანაც შვედი ჯერჯერობით გუნდთან შეთანხმების გახანგრძლივებას არ აპირებს.**

**იტალიურმა** „ჯენოამ" მწვრთნელი ფრანკო სკოლიო თანამდებობიდან გაათავისუფლა. მასა და კლუბის პრეზიდენტ ლუიჯი დელა კოსტას შორის უთანხმოება მოხდა. სკალიო სავარაუდოდ, ტუნისში გააგრძელებს კარიერას, სადაც „ჯენოაში" დანიშვნამდე მუშაობდა, რომელიც სერია C-ში დაქვეითებისგან იხსნა. ამბობენ, რომ „ჯენოას" მწვრთნელად „ინტერის" ამჟამინდელი თავკაცის, მარკო ტარდელის მიწვევა სურს. მით უმეტეს, გადაწყვეტილია, რომ იგი ახალი სეზონიდან „სან სიროზე" აღარ იმუშავებს.

**არგენტინელმა ნელსონ ვივასმა მალე შესაძლოა, „არსენალი" დატოვოს და კარიერა მილანის „ინტერში" გააგრძელოს. ფეხბურთელის განცხადებით, მას ძალიან უნდა ექტორ რაულ კუპერის გაწვრთნილ გუნდში თამაში, ეს უკანასკნელი კი ახალი სეზონიდან სწორედ მილანურ კლუბში იმუშავებს. აღსანიშნავია, რომ ვივასს „პარი სენ ჟერმენიც" ეპატიჟება, არსენალელმა კი ამას წინათ განაცხადა: „შვეიცარიაში, ესპანეთსა და ინგლისში მითამაშია. ახლა მსურს, სერია A-ში გადავიდე და იქაური გამოცდილება შევიძინო".**

# ჩრდილოირლანდიური კვინტეტის ლესბოსური ვნებანი



REUTERS პრაღიდან

**მაიკლ ჰიუზი (უკან) და პიტერ კენედი ჩეხი პოლიციელების ხელში**

**პრაღაში** გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩს ჩეხეთისა და ჩრდილო ირლანდიის გუნდებს შორის, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 3:1, საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ჩრდილოირლანდიელები თამაშის წინ საკმაოდ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდნენ, მათ ეჭვიც არ ეპარებოდათ, საკუთარ წარმატებებში, თუმც როდესაც დამარცხდნენ, ჩრდილოირლანდიელთა ხუთეული — ნაკრების კაპიტანი მაიკლ ჰიუზი („უიმბლდონი"), დევიდ ჰელი („პრესტონი"), გლენ ფერგიუსონი („ლინფილდი"), პიტერ კენედი („უოტფორდი") და მეკარეთა მწვრთნელი ტომი რაიტი — დარდის განქარვებას სწორედ იმ საეჭვო რეპუტაციის ღამის კლუბში შეეცადა, სადაც უმეტესწილად ლესბოსელები იკრიბებიან. ჩრდილო ირლანდიელთა მინორული განწყობა მათ ქცევაშიც გამოიხატა. სწორედ ბრიტანელებმა ატეხეს დებოში, ხოლო ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, ალბათ განაწყენებულმა იმით, რომ რამდენიმე მეტად სახიფათო თავური დარტყმა ვერ გარდასახა გოლად, მიზანში ყვავილების ქოთანი ამოიღო და უნდა ითქვას მეტად წარმატებითაც... ჩრდილოირლანდიელმა თავის ერთი დარტყმით იავარჰყო ყვავილთსაბუდარი...

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. ასოციაციის წევრთაგან რამდენიმემ ხაზგასმით აღნიშნა, დიდი არაფერი მომხდარაო. თავად კრებამ კი მიიღო გადაწყვეტილება — ჩრდილოირლანდიელ მოთამაშეებს აეკრძალოთ თავური დარტყმა ფეხბურთის მოედანს მიღმა, რამდენადაც ამგვარი ქმედება მავნებელია მათივე ჯანმრთელობისთვისო...

ჩეხეთის პოლიციამ მხარი დაუჭირა იმ წინადადებას, რომ ბრიტანელები დიდხანს არ ეყურყუტებინათ ვირის აბანოში და მათი დაჯარიმების ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო...

ჩრდილოირლანდიელთა კაპიტანმა მარკ ჰიუზმა აეროპორტში ჟურნალისტებს განუცხადა — ის არეულობა ჩვენ არ დაგვიწყია, სულ სხვები იყვნენ ჩხუბისთავები, ჩვენ კი მამა აბრამის ბატკანივით უმანკონი გახლავართო...

მეკარეთა მწვრთნელმა ტომი რაიტმა კი ბრძანა — ჩვენ როგორც ჭეშმარიტი მოქალაქენი, აღვშფოთდით, როცა ღამის კლუბის სტუმრები ერთმანეთს დაერივნენ... დიდხანს ვუყურეთ მათ და როცა არ დაშოშმინდნენ, ჩეხ პოლიციელთა დახმარება გადავწყვიტეთ... მათაც მადლიერება გამოხატეს და სამაგიერო იმით გადაგვიხადეს, რომ პატივსაცემად განყოფილებაში მიგვაბრძანეს. გულმხურვალე დითირამბები გვიძღვნეს და იქიდან ისე გამოგვაცილეს... მე აღშფოთებული ვარ იმის გამო, რომ ჩვენ წუწურაქობასაც გვაბრალებენ... იმასაც ამბობენ, რომ თითქოს ღამის კლუბში შესასვლელ გადასახადი დაგვენანა და იქ ისე, უფულოდ შესვლა გადავწყვიტეთ... ეს არავინ დაიჯეროს... იმ მუშტი-კრივში ერთ-ერთ ჩვენთაგანს მამა-პაპური მოხვდა და ჩვენც უფრო რომ არ დავზიანებულიყავით, თავქუდმოგლეჯილები გამოვიქეცით სასტუმროსაკენო.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოირლანდიელები „უდანაშაულონი" აღმოჩნდნენ, ქვეყნის ბიუჯეტს იმ საეჭვოდ აჩქარებული მიხვრა-მოხვრისთვის თვითეულმა ბრიტანელმა 50 დოლარი უნდა შესწიროს.

**გამუჟა ნაცვალაძე**


იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული
ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

იყიდება
როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65
(საღამოს, 19⁰⁰-21⁰⁰)

## საქართველოს ჩემპიონატი. III ტური

გაგი ძამუკაშვილის ფოტო



უნივერსიტეტი — დათვები. ბათუმელმა გიორგი დავლაძემ მეტოქე ჩამოიშორა და მალე გარდამტეხ ლელოსაც გაიტანს

# დათვები თბილისშიც გამოჩნდნენ

**ვარკეთილის მეურნეობა. 12 ივნისი**
**უნივერსიტეტი 16:22 დათვები**

**უნივერსიტეტი:** მაჩხანელი, ო. ელოშვილი, გუნდიშვილი, ი. მაისურაძე, ეფხოშვილი (კობახიძე), კიზირია (ირემაშვილი), ი. მოდებაძე, ალიბეგაშვილი, კუთარაშვილი, კუკულია (კობიაშვილი), წიკლაური, გუჯარაიძე (ცხომელიძე), აფსაჯანაშვილი, ქირიკაშვილი, ჩქარეული (ჯალაღონია)
**1ლ:** კუთარაშვილი; **1გ:** მოდებაძე; **3ს:** მოდებაძე
**დათვები:** კიკნაძე, სვინტრაძე (დავლაძე), პინჩუკოვი, კაპანაძე, ხონელიძე, მაჩიტიძე, ხელაძე, ნინიძე, ღლონტი, აშვეთია, ბერიძე, გურეშიძე, სვანიძე, უჩავა, ჩირგაძე
**3ლ:** ხონელიძე, დავლაძე, მაჩიტიძე; **2გ:** მაჩიტიძე; **1ს:** მაჩიტიძე
**მსაჯი:** მიხეილ ჩაჩუა
**მეთვალყურე:** გიორგი ბერიაშვილი

**ვარკეთილის მეურნეობა. 12 ივნისი**
**ლოკომოტივი 26:7 აია**

**ლოკომოტივი:** ძნელაძე, კოტრიკაძე, ცხადაია (ჩხენკელი), ალანია, ბუგიანიშვილი, კვინიხიძე, აბუსერიძე, მაჭუტაძე (ქავთარაძე), ხინჩაგაშვილი, სუჯაშვილი (ჯიბლაძე), ბურდული (გ. გიორგაძე), ზ. მაისურაძე, კახიანი, ვალიშვილი, ბ. უდესიანი
**4ლ:** ბუგიანიშვილი (2), ბ. უდესიანი, ხინჩაგაშვილი; **3გ:** კვინიხიძე (2), ძნელაძე
**აია:** მ. ხელაძე, ნამჩევაძე, ზვიადაძე, კ. გიორგაძე, ცხვედიანი (იობაშვილი), ჩუბინიძე, სორდია; დადუნაშვილი (თ. ბალანჩივაძე), დ. ბალანჩივაძე (ფრუიძე), კოპალიანი, მინაძე, კეპულაძე (ჭოლაძე), ყურაშვილი, ნემსაძე (კიკვიძე), საყვარელიძე
**1ლ:** მინაძე; **1გ:** ზვიადაძე
**გაფრთხილება:** კოპალიანი (აია), აბუსერიძე (ლოკომოტივი)
**მსაჯი:** ლევან მგელაძე
**მეთვალყურე:** გიორგი ბერიაშვილი

**ავლაბარი. 12 ივნისი**
**ასკ 0:94 ყოჩები**

**ასკ (სასტარტო შემადგენლობა):** ხინჩაგიშვილი, გიორგობიანი, მიქელაძე, სუთიაშვილი, სოზიაშვილი, ფ. უდესიანი, გეგეშიძე, ქაფიანი, ორდენიძე, მზარეულაშვილი, ბერძენიშვილი, მამაიაშვილი, თათოესიანი, ვაშაყმაძე, დათუნაშვილი
**ყოჩები (სასტარტო შემადგენლობა):** იმნაძე, გრუტკო, ტრაპაიძე, ნ. მგელაძე, კ. მხეიძე, კაჭარავა, გიორხელიძე, მელაძე, კიკუაშვილი, ფირიაშვილი, გუშარაშვილი, ხურცილავა, ცხვედიანი, ჭელიძე, გ. ხაბეიშვილი
**14ლ:** ტრაპაიძე, ფირიაშვილი, ჭელიძე (3), გიორხელიძე (3), გუშარაშვილი, იმნაძე (2), ციბაძე (2), გრუტკო; **12გ:** გიორხელიძე (11), კაჭარავა
**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი
**მეთვალყურე:** ზურაბ ხარშილაძე

რაც ჩემპიონატი დაიწყო, ბათუმის „დათვები" პირველად ეწვივნენ დედაქალაქს. მეორე ტურში თბილისის „ლოკომოტივის" შინ დამარცხების შემდეგ ზღვისპირელები ჩინებულ გუნებაზე იყვნენ. თითქოს სათვალავში არ აგდებდნენ მოკრძალებულ „უნივერსიტეტს". ეს განსაკუთრებით მორგაბეებზე ითქმის, რომლებიც დემორალიზებულნი გამოვიდნენ მოედანზე. მატჩის წინ ლევან მგელაძე ბევრს ეჩიჩინა შეგირდებს, რჩევა-დარიგებებიც ბლომად მისცა, მაგრამ იოლი გამარჯვებაში დარწმუნებული სტუმრები, ეტყობა, აინუნშიც არ აგდებდნენ მწვრთნელის მოძღვრებას. არადა, შეხვედრის დებიუტის შემხედვარე იფიქრებდით, „დათვები" მალევე მოუთავებენ საქმეს მასპინძლებსო.

უკვე პირველივე წუთებზე კახა მაჩიტიძემ ლამის მოედნის ცენტრიდან შეაგდო არეკნი. ცოტა ხანში კახამ ისევ მოიქნია მარჯვენა, მაგრამ ამჯერად ბურთმა კარის ძელს ჩაუფრინა. არეკნებს შორის მაჩიტიძეს საჯარიმო დარტყმა გაუცუდდა. საწყისი წუთები მთლიანად ბათუმელთა შეტევებში გაილია, მაგრამ ლელოსთან მიახლოვება ბათუმელებმა ვერაფრით შეძლეს, სამაგიეროდ, მედგრად დაუდგნენ სტუდენტები და საპასუხო იერიშიც მიიტანეს სტუმართა ლელოზე. აუტიდან მოგებული ბურთი კუთარაშვილმა ჩაიხუტა, თანაგუნდელს მოლიც მიაშველეს სტუდენტებმა და ჯაჯგურჯაჯგურ ბურთიანად შეათრიეს კუთარაშვილი ზღვისპირელთა ლელოში. მოდებაძემ ზუსტად გარდასახა, ამას ზედ ერთი გოლიც დაურთო და ანგარიში — 10:3 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ.

სიტუაციის ასეთ შემობრუნებას ნამდვილად არ ელოდნენ სტუმრები. თითქოს დაიბნენ „დათვები", მათ ქაოსურ შეტევებს შედეგი არა და არ მოჰქონდა. მშველელად „დათვებს" ისევ „უნივერსიტეტი" მოევლინა. ყოვლად უწყინარ სიტუაციაში ირაკლი გუნდიშვილმა თავისი ზონა მიატოვა და უბურთო მეტოქე შებოჭა, რითაც კარგად ისარგებლეს ბათუმლებმა. სწრაფი იერიში გოჩა ხონელიძემ ლელოთი დააგვირგვინა. მაჩიტიძემ ბურთი მიზანს უსწორა და ანგარიშიც გათანაბრდა — 10:10. ტაიმის დასრულებას არაფერი აკლდა, როდესაც ირაკლი მოდებაძემ მეტოქის გააქტიურებას გოლით უპასუხა და წინ ისევ „უნივერსიტეტი" გავიდა — 13:10. აი, ბოლო წუთზე კი ბათუმელებს აშკარად წაართვეს მსაჯებმა სამი ქულა. მაჩიტიძის გასროლილი ზუსტი იყო, ეს გულშემატკივრებმაც და იქ მყოფმა რაგბის კავშირის წარმომადგენლებმაც კარგად ნახეს. ის, რომ ბურთი კარებში გავიდა, თვით „უნივერსიტეტის" მწვრთნელმა გურამ მოდებაძემაც დაადასტურა, მაგრამ მსაჯთა გადაწყვეტილება საპირისპიროზე მეტყველებდა და „დათვების" პროტესტმა არ გაჭრა.

მატჩის მეორე ორმოცწუთეული ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. ეგ არის, ორივე გუნდი შეტევის ბოლო ფაზაში ცოდავდა. საჯარიმოებიდან კი ვერც ირაკლი მოდებაძემ იხეირა და ვერც კახა მაჩიტიძემ. ორივეს მიზანი მოეშალათ და მათი დარტყმული კარგა მანძილით სცდებოდა კარს. მატჩის კვანძი კი საფინალო სასტვენამდე ოცი წუთის წინ გაიხსნა. სტუმართა გაწელილი იერიში შეცვლაზე შესულმა დავლაძემ დაასრულა ლელოთი. დავლაძე ფინტით დაუძვრა მასპინძელთა დაცვას და ბურთიანად უწია მეტოქის ლელოს. მაჩიტიძემ ამჯერად ორი ქულით გაზარდა გუნდის მონაგარი, ბოლო წუთებზე კი თვითონვე დაუსვა წერტილი ამ მატჩს. „ჩიჩმიმ" მოწინააღმდეგის მცველებს ბურთი ცხვირწინ ააცალა და სტუმართა გამარჯვება დააფიქსირა.

შემდეგ მოედანზე „ლოკომოტივი" და „აია" გამოვიდნენ. ბათუმელთა მთავრმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ მსაჯის ამუნიცია მოირგო და რამდენიმე წუთში მატჩიც დაიწყო. თავიდანვე ნათელი იყო, „ლოკომოტივი" ახალგაზრდა „აიას" იოლად მოუგებდა. „ბებერი" კაკო მაჭუტაძე და ჯეელი დათო ხინჩაგაშვილი მიხეილ სუჯაშვილთან ერთად მშვენივრად უმკლავდებოდნენ, ზოგჯერ სჯობდნენ კიდეც მეტოქის შერკინებას. მორკინალებს მხარი ხაზის მოთამაშეებმაც აუბეს და დაიწყო...

ჯერ გიორგი ბუგიანიშვილმა დაალელოვა ქუთაისელები. მერე ბესიკ უდესიანმა კარაქივით გაჭრა სტუმართა დაცვის ხაზი და თვითონვე დაასრულა იერიში. ბობა კვინიხიძემ ორივე გარდასახა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ისევ ბუგიანიშვილი გაექცა „აიელებს", დათო ხინჩაგაშვილმა კი სტუმართა თავგზააბნეული დაცვა ლელოს გატანით გამოაფხიზლა, დათოს ძნელაძემაც აუბა მხარი და ანგარიში უკვე 26:0 გახდა რკინიგზელთა სასარგებლოდ. დარჩენილ დროში ქუთათურებმა შტურმი მოუწყვეს მასპინძლებს და მანამდე არ მოეშვნენ, სანამ გოგა მინაძემ პრესტიჟისა არ გაიტანა. ზვიადაძის გარდასახვას ლევან მგელაძის საფინალო სასტვენმაც მოუსწრო.

**ბაჩო სვანიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 3 | 3 | 0 | 0 | 141:28 | 6 |
| დათვები | 2 | 2 | 0 | 0 | 46:35 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 67:49 | 4 |
| აია | 3 | 1 | 0 | 2 | 66:58 | 2 |
| უნივერსიტეტი | 3 | 0 | 0 | 3 | 46:62 | 0 |
| ასკ | 2 | 0 | 0 | 2 | 3:138 | 0 |

# ინგლისური შოუ შოუმ გახსნა

**ტესტი. 10 ივნისი**
**კანადა 20:59 ინგლისი**

**კანდა:** 2ლ: ბაფი, ფოთი; 2გ. და 2ს: როსი
**ინგლისი:** 8ლ: შოუ (2), საჯარიმო, უორსლი, უოლდერი (2), ნუნი, ვუდი; 5გ. და 3ს: უოლდერი

შესუსტებულშემადგენლობიანმა ინგლისმა მეორე ტესტიც მოუგო კანადას. ოღონდ ამჯერად ბრიტანელებმა გაცილებით იოლად სძლიეს მეტოქეს და პირველი მატჩივით მოკრძალებული ანგარიში (22:10) არ იკმარეს.

სტუმრები თავიდანვე მძლავრად ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და უკვე მატჩის დასაწყისშივე ნათელი გახადეს, რომ ჩრდილოამერიკელებს არ დაინდობდნენ. საიმონ შოუმ მეორე წუთზევე დაალელოვა მასპინძლები, რასაც მალე ბობ როსმა საჯარიმოთი უპასუხა. თუმცა რამდენიმე წუთში მსაჯმა ალბიონელებს საჯარიმო ლელო ჩაუთვალა და უოლდერის გარდასახვამ ისინი 12:3 დააწინაურა.

აქედან მოყოლებული, თამაში ძალიან დაიძაბა, რასაც ორმაგი დროებითი გაძევება მოჰყვა. მსაჯმა ინგლისელი ჯულიან უაიტი და კანადელი დან ბაფი დაასვენა ათ-ათი წუთით. მალე მასპინძლებმა მორგან უილიამსიც მოისაკლისეს და ტაიმი 6:28 დათმეს.

თამაშის განახლებისთანავე შოუმ მეორე ლელო გაიტანა, რასაც მინდორზე დაბრუნებულმა ბაფმაც ლელოთივე უპასუხა — 13:33. დარჩენილი დროც სტუმართა უპირატესობით წარიმართა, რაც ანგარიშზეც აისახა.

მომდევნო მატჩში ინგლისელები 16 ივნისს ბერკლიში (კალიფორნია) აშშ-ს დაუპირისპირდებიან.



ჯეიმი ნუნმა კანადელებს მორიგი ლელო გაუტანა

# მშიერი ლომები ავსტრალიაში

**8 ივნისი**
**დასავლეთ ავსტრალია 10:116 ბრიტანელი ლომები**

**დასავლეთ ავსტრალია:** 2 ლ: ბეკროფტი, ბარუფი
**ბრიტანელი ლომები:** 18 ლ: ს. ქვინელი (3), ჰოული (2), ლუგერი (3), გრინვუდი, ბეკი (2), გრიუკოკი, მ. ტეილორი, ს. ტეილორი, ბოლშოუ (2), ო. ჰილი, ოდრისკოლი; 13 გ: ოგარა

ბრიტანელმა ლომებმა თავიანთი ავსტრალიური ტურნე პერთში მართლაც მეფურად დაიწყეს და დასავლეთ ავსტარლიისგან ქვა-ქვაზე არ დატოვეს.

სტუმრებმა ორივე ტაიმში 9-9 ლელო გაიტანეს. მასპინძლებმა, რომელთა შემადგენლობაში 10 ახალზელანდიელიც გამოდიოდა, ევროპელების ორი შეცდომით ისარგებლეს, მეორე ტაიმში ორი ლელო გაიტანეს და 20 ათასი მაყურებლის თვალწინ სულ მთლად გათახსირებას გადაურჩნენ.

მატჩის გმირი, უფრო სწორად კი ყველაზე „მშიერი ლომი", შუამარბი სკოტ ქვინელი იყო, რომელმაც თავისი სამი ლელოს გარდა გადამწყვეტი პასებიც ბლომად არიგა. უელსელმა პირველად ოზები მე-2 წუთზე დაალელოვა, მერე კი ლომებმა საშუალოდ ყოველ ოთხ წუთში ერთხელ გაიტანეს ლელოები.

**12 ივნისი**
**ქვინზლენდის პრეზიდენტის ნაკრები 6:83 ბრიტანელი ლომები**

**ქვინზლენდის პრეზიდენტის ნაკრები:** 2 ს: დრემი
**ბრიტანელი ლომები:** 13 ლ: რობინსონი (5), ჰენდერსონი (3), ჩარვისი (2), იანგი, ოკელი, საჯარიმო; 9 გ: ნ. ჯენკინსი (5), პერი (4)

ლომებმა, რომელთა შემადგენლობაც პირველი მატჩის შემდეგ თითქმის სულ შეიცვალა, სამშაბათსაც შეახრამუნეს მოწინააღმდეგე. არადა, თაუნსვილში პირველ ტაიმში ქვინზლენდის პრეზიდენტის ბიჭები მაგრად დადგნენ და მხოლოდ 6:10 გაუშვეს წინ ბრიტანელები.

თურმე საწყისი 40 წუთი 14 ახლადგალომებულს საერთო ენის გამოსანახად დასჭირვებია. შესვენების შემდეგ ნილ ჯენკინსის წინამძღოლობით ევროპელებმა 11 ლელო გაიტანეს და ორი მატჩის ჯამში 31 ლელო და 199 ქულა დაუგროვდათ.

შაბათს ლომები ბრისბენელი წითლების „შეჭმას" შეეცდებიან.

**გაგი გურული**



ირლანდიელი ლომი კიტ ვუდი

# ნაცვლიშვილი ბუდაპეშტში ევროპას დაენახვება



## ნაკრებმა საწვავიც მოიმარაგა და საბურავებიც გამოცვალა

*ბაქოში აზერბაიჯანის ნაკრებთან გამარჯვებული საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული გუნდი 10 ივნისს, გამთენიისას, დაახლოებით ხუთ საათზე ჩამოვიდა თბილისში და დაღლილი მოთამაშეებიც შინ წავიდ-წამოვიდნენ. მათგან მხოლოდ ნაკრების კაპიტანი, ვახტანგ ნაცვლიშვილი ვერ ისვენებდა და მიზეზიც ჰქონდა. დასასვენებლად სად ეცალა ვატოს, დრო ძალიან ცოტა ჰქონდა, სამ საათში უნგრეთში უნდა გამგზავრებულიყო. მოკლედ, თბილისის აეროპორტიდან დილის 8 საათზე ავიალაინერი ვენის მიმართულებით რომ გაფრინდა, იქ საქართველოს ნაკრების კაპიტანიც იჯდა. ავსტრიის დედაქალაქიდან კი ვატო ბუდაპეშტისკენ აიღებდა გეზს. ბაქოდან აქეთობისას დრო უამრავი მქონდა და ნაცვლიშვილთან გასაუბრების შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი. შესაფერისი მომენტი შევარჩიე და...*

— 11-15 ივნისს ბუდაპეშტში ტრადიციული საწვრთნელ-საჩვენებელი შეკრება მოეწყობა და იქ მეც ვარ მიწვეული. კალათბურთელთა სატრანსფერო ფირმა „კორტ საიდი", რომლის მეშვეობითაც ვაფორმებ ხოლმე კონტრაქტებს ამა თუ იმ კლუბთან, უკვე მეოთხედ ატარებს მსგავს შეკრებას და მიუხედავად იმისა, რომ იქ ყოველთვის მიწვევენ, უნგრეთში ჩასვლის საშუალება პირველად მეძლევა.

**— ეს ვარიანტი, ალბათ, უმუალოდ თქვენმა ბულგარელმა მენეჯერმა, ნიკოლაი ტენევმა შემოგთავაზათ...**

— ტენევი დაახლოებით ერთი თვის წინ დამიკავშირდა და მირჩია, აუცილებლად ჩავსულიყავი ბუდაპეშტში. თან გამაფრთხილა, წლევანდელ შეკრებაზე უძლიერესი შემადგენლობა იყრის თავს, ბევრი სკაუტიც ჩამოდის და იქნებ კარგი კონტრაქტი გავახერხოთო. ჩავალ, სიტუაციას შევხედავ, იქნებ მართლა გამოჩნდეს ჩემთვის სასურველი კლუბი.

**— როგორც წესი, კალათბურთელებმა წინასწარ იციან, თუ რომელი კლუბის შემადგენლობაში უნდა ითამაშონ...**

— სამწუხაროდ, ზუსტად არ მახსოვს ჩემი გუნდის სახელი. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ის გუნდი, რომლის რიგებშიც უნგრულ შეკრებაზე ვითამაშებ, შემადგენლობით ყველაზე ძლიერი იქნება. თუ არ ვცდები, ბუდაპეშტში დაახლოებით 80 კალათბურთელი მოვიყრით თავს, შემდეგ ორგანიზატორები ათ რვაკაციან გუნდს ერთმანეთში გვათამაშებენ.

**— ბუდაპეშტში მხოლოდ „კორტ საიდთან" დაკავშირებული მოთამაშეები იკრიბებით?**

— შესაძლოა ისეთებიც იყვნენ, ვისაც ამ სატრანსფერო ფირმასთან კავშირი საერთოდ არ აქვს. თუმცა ამბობენ, უმრავლესობა სწორედ „კორტ საიდის" კალათბურთელები იქნებიანო.

**— სადღეისოდ კონკრეტული წინადადებით ხომ არ მოუმართავს თქვენთვის რომელიმე კლუბს?**

— ერთი, რაც ნამდვილად ვიცი, ისაა, რომ ჰოლანდიურ „ეფელ თაუერზს" ჩემი გადაბირების ძალიან დიდი სურვილი აქვს. ამ ვარიანტზე ტენევიც მესაუბრა და თავად ჰოლანდიელებიც დამიკავშირდნენ ამ რამდენიმე ხნის წინ. საკმაოდ ნორმალურ პირობებს მთავაზობენ, თუმცა „ეფელ თაუერზისთვის" საბოლოო პასუხი ჯერ არ გამიცია.

**— რატომ დაინტერესდა თქვენით ეს კლუბი?**

— ვერაფერს გეტყვით. ერთადერთი, იმას ვფიქრობ, ალბათ, ჰოლანდიურივე „კონესკოს" ხელმძღვანელობამ გამიწია რეკომენდაცია. ალბათ გახსოვთ, „კონესკოს" ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის მატჩში შეხვდა ბათუმის „ბასკო".

**— „ბასკოდან" წამოსვლა საბოლოოდ გადაწყვიტეთ?**

— ახლა კალათბურთელები შვებულებაში კი ვართ, მაგრამ ბათუმში, ალბათ, აღარ დავრჩები. გადავწყვიტე, რომელიმე უცხოურ კლუბში მოვეწყო.

**— თუ ჰოლანდიელთა წინადადება თქვენთვის ფინანსურადაც მომგებიანია, თავს რატომღა იკავებთ?**

— ინტერნეტის საშუალებით „ეფელ თაუერზზე" საკმაო ინფორმაცია შევაგროვე და მივხვდი, რომ ამ კლუბს ჩემთვის მისაღები ამბიციები არა აქვს. „ეფელი" მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობს და ხელშესახებ წარმატებებს ვერც იქ აღწევს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ასეთ კლუბში გადასვლით კარიერაში წინ ნაბიჯს ვერ გადავდგამ. ჰოლანდიელებსაც ამ მიზეზით ვეუბნები უარს.

**— მაშ, იმედი გაქვთ, უნგრული შეკრების შემდეგ უფრო ძლიერი საკალათბურთო ქვეყნის სოლიდური კლუბი მოგიპატიჟებთ...**

— ვფიქრობ, ბუდაპეშტში იმდენს მაინც მოვახერხებ, რომ ჩემით სხვა კლუბებიც დაინტერესდნენ, რათა არჩევანის საშუალება მომეცეს. ისე არ გამიგოთ, თითქოს ამ ეტაპზე ევროპის ელიტარულ კლუბში დამკვიდრების პრეტენზია მქონდეს. დღესდღეობით ამისთვის მზად ნამდვილად არ ვარ, უბრალოდ, ჩემს მომავალ გუნდს გარკვეული ამბიციები მაინც უნდა გააჩნდეს.

**— ვატო, დროა, სანაკრებო ამბებიც მიმოვიხილოთ. სამი თამაში, სამი მოგება... რას იტყვის კაპიტანი?**

— მხედველობიდან ნურც ის გამოგრჩებათ, რომ საქართველოს ნაკრებმა გასვლაზე პირველად მოიგო. აქ იმას არ ვგულისხმობ, ამა თუ იმ რანგის შეჯიბრი ტურად რომ იმართებოდა, მიმოსვლით სისტემაზე ვლაპარაკობ. მართალია, აზერბაიჯანის ნაკრები ღირსეული მოწინააღმდეგე არ იყო და თანამედროვე კალათბურთისგანაც ძალიან შორს დგას, მაგრამ თავად ფაქტი, რომ სტუმრად მოვიგეთ, ვფიქრობ, აღნიშვნის ღირსია. სხვა მხრივ, ძალიან კმაყოფილი ვარ იმ შედეგით, რასაც ამ სამ მატჩში მივაღწიეთ. თამაშის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც უდიდესი პოტენცია გვაქვს და უკლებლივ ყველა რეზერვი მაქსიმალურად უნდა ავამოქმედოთ. ყველაზე სასიამოვნო მაინც ისაა, რომ ქართულ კალათბურთში ახალი სახელებიც გამოჩნდა. ამ ბიჭებმა უკვე მოახერხეს თავის გამოჩენა და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც უფრო ომახიანად იტყვიან სათქმელს. მიმაჩნია, რომ თაობათა ცვლის პროცესიც წარმატებით მიმდინარეობს, ახალი თაობა ძველ გვარდიას კარგად შეერწყა, რაც სამომავლოდ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ჩვენ სადღეისოდ ერთი ნაბიჯით წინ ვართ, ვიდრე იგივე ბელარუსი და ბულგარეთი. ადრე თუ გვიან ისინიც ამავე პროცესების განხორციელების წინაშე დადგებიან, ჩვენ კი ეს მოლეული გვექნება. ერთი სიტყვით, ყოველივე რაღაცით ფორმულა I-ს მაგონებს, საქართველოს ნაკრებს საწვავიც მომარაგებული აქვს და საბურავებიც — გამოცვლილი.

**გიორგი გიკაშვილი**

---

# ათასიც საქმეა

## ნუ შევხედავთ მეტოქეებს

*ევრობასკეტ 2003-ის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი წრე დასრულდა. საქართველოს ნაკრები, რომელიც C ჯგუფში ბელარუსის, ბულგარეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდებთან ერთად მოხვდა, მავანთათვის მოულოდნელად, პირველ ადგილზეა. ერთი შეხედვით, თუ ჩვენი ნაკრების წინა წლების ევროპულ სარბიელზე ასპარეზობას გადავხედავთ, იქნებ ეს ასეც იყოს, მაგრამ იმ თამაშის მიხედვით, რომელიც მათ ამ ეტაპზე უჩვენეს, მართლაც იმსახურებენ პირველობას. თუმცა საბოლოო წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან მას შემდეგ, რაც ბულგარელებმა ბელარუსებს შინ ოცდაექვსი ქულით მოუგეს, ჯგუფში ყველაფერი თავიდან იწყება. საქართველოს ნაკრებს ორი ურთულესი შეხვედრა ელის ზემონახსენებ გუნდებთან და თუ ამ მატჩებში ხელსაყრელ შედეგს მიაღწია, წარმატებაზე საუბარიც შეიძლება.*

*გუშინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა აზერბაიჯანიდან დაბრუნებულ გუნდს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად მილება მოუწყო, რის შემდეგაც გაიმართა პრესკონფერენცია. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა სტუმართათვის.*

— მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველას — მწვრთნელებს, კალათბურთელებს, ფედერაციის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს. თითოეულმა თქვენგანმა საკუთარი წვლილი შეიტანა ჩვენი ნაკრების წარმატებულ სტარტში. მიღწეულით დაკმაყოფილება და მოდუნება არას გვარგებს, ჩვენი მთავარი მიზანი შემდეგ ეტაპზე გასვლაა და ამის მისაღწევად ორი უმძიმესი მატჩი უნდა მოვიგოთ სტუმრად. არაფერს მოგვცემს ქულების დათვლა, არ უნდა ვუყუროთ მეტოქეების ერთმანეთში ნათამაშევი მატჩების ანგარიშებს, ორივე გასვლით თამაშში უნდა გავიმარჯვოთ და ამით ყველაფერი გადაწყდება. გამარჯვების ძალიან დიდი იმედი მაქვს და ამის საფუძველს თქვენი ბოლოდროინდელი თამაში მაძლევს. თავად კი სიტყვას ვიძლევი, რომ ყველანაირად დაგიჭერთ მხარს. მართალია, თავიდან იყო გარკვეული ფინანსური პრობლემები, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. სწორედ გუშინ გადაწყდა — საჭირო თანხები მოიძებნება და ყოველგვარი ფინანსური პრობლემა მოიხსნება.

*ამის შემდეგ იქ შეკრებილებმა საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს და ნაკრებთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.*

*ზურაბ ტომარაძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— მსურს, ყველას მადლობა ვუთხრა თანადგომისათვის. მიხარია, რომ მაყურებელი დაუბრუნდა კალათბურთს. მართალია, დიდი არაფერი გაგვიკეთებია, მოვიგეთ ის ორი თამაში, რომლებიც უნდა მოგვეგო, მაგრამ ის მხარდაჭერა, რომელიც ყველასგან დავინახე, აუცილებლად აღნიშვნისა და მადლობის ღირსია.

მე ბოლო სამ მატჩს ასე შევაფასებდი: გუნდმა იპოვა თავისი თავი. მართალია, სრულყოფილებაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ნაკრებმა გარკვეულ დონეს, რაღაც ჩარჩოს მიაღწია. ცხადია, ამაზე არ შევჩერდებით და შეძლებისდაგვარად უფრო დავხვეწთ თამაშს, მით უმეტეს, რომ პოტენციალი გაგვაჩნია და იგი სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ. ბიჭებს მოვუწოდებ, რომ აგვისტოში, რომელიც ძირითადად დასვენების თვედ ითვლება, არ შეწყვიტონ მუშაობა და ჩვენი შეკრებისთვის სათანადო ფიზიკურ ფორმაში იყვნენ.

*ირაკლი მეძმარიაშვილი:*

— ვაღიარებ, რომ ბოლო ხანებში კალათბურთს იმდენ ყურადღებას არ ვაქცევდით, როგორც ფეხბურთს, მაგრამ ამან არ გაამართლა, ჩვენი ფეხბურთი საქვეყნოდ შერცხვა. ვფიქრობ, რომ კალათბურთს არანაკლები მიხედვა სჭირდება და ამას მალე მოევლება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ნაკრები შეძლებს ამ ეტაპზე საბოლოო წარმატების მიღწევას და შესარჩევ ტურნირზე მოხვედრას. ამის შემდეგ კი უფრო სერიოზულ მიღწევებზე უნდა ვიფიქროთ. ამის რეზერვი ნამდვილად გაგვაჩნია, როგორც ნაკრებში ახლა მოთამაშე ახალგაზრდების, ისე იმ კადეტთა სახით, რომლებმაც უკვე მეორედ მოახერხეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა. რაც შეეხება სახელმწიფოს მხარდაჭერას, ჩვენი მხრიდან ყველაფერი კეთდება.

**— ითამაშებს თუ არა ვლადიმერ სტეფანია მომავალ მატჩებში?**

*დუდუ დადიანი, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:*

— რამდენიმე წუთის წინ მამამისს ველაპარაკე და მისი გეგმების შესახებ შევიტყვე. ყველამ ვიცით, რომ ვოვამ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და რეაბილიტაციის კურსს გადის. აგვისტოს ბოლოსათვის კალათბურთელი, რომელიც სერიოზულ კლუბში აპირებს თამაშს, კარგ სპორტულ ფორმაში უნდა იყოს. როგორც გავიგე, სტეფანიას სწორედ ეს განუზრახავს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ იგი ევროპაში გააგრძელებს კარიერას. ასეთ შემთხვევაში კი საქართველოში ჩამოსვლა და ნაკრებში თამაშიც შეეძლება. მამამისმა მითხრა, რომ ვოვას ძალიან გაუხარდა ჩვენი გუნდის წარმატება და დიდი სურვილი გამოთქვა, რომ ნაკრებში ითამაშოს. რომ არა ეს ოპერაცია, დარწმუნებული ვარ, სტეფანია დღეს ჩვენს გვერდში იქნებოდა. რამდენიმე ხანში ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა და ვიმედოვნებ იგი შეძლებს ჩვენს დახმარებას. მით უმეტეს, რომ მომავალი შეხვედრები ერთიორად რთული იქნება.

**— მომავალ თამაშებამდე უცხოურ გუნდებთან ამხანაგური მატჩების გამართვას ხომ არ გეგმავთ?**

*ზურაბ ტომარაძე:*

— ალბათ საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ, რომელიც თეირანში გაიმართება. ეს საკმაოდ მაღალი დონის შეჯიბრი გახლავთ. მასში მონაწილეობს ორი ამერიკული გუნდი, ორი ირანული — პირველი და მეორე ნაკრებები და რამდენიმე გერმანული კლუბი ბუნდესლიგიდან. ამ ტურნირზე შარშან რუსეთის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა, „ურალ გრეიტმაც" ითამაშა. კარგი იქნება, თუ თეირანში გამგზავრებამდე სრულად მოვუყრით თავს შემადგენლობას, რადგან ამ დროისთვის (ტურნირი 10 აგვისტოს იწყება) ჩვენს ზოგიერთ ლეგიონერს მოლაპარაკებები ექნება სხვადასხვა კლუბებთან მათი იქ შესაძლო გადასვლის თაობაზე.

მანამდე კი ნაკრების სამ წევრს — ზაზა ფაჩულიას, დავით უგრეხელიძესა და ნიკა ცქიტიშვილს ახალგაზრდულ ნაკრებში მოუწევს თამაში. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს წისქვილზეც დაასხამს წყალს. ახალგაზრდები გამოცდილებას შეიძენენ და პირველ ნაკრებს ერთმანეთთან უფრო შეთამაშებულები დაუბრუნდებიან.

**— გასვლითი მატჩებისთვის, ალბათ, გუნდის ტაქტიკურ მონახაზს შეცვლით.**

— აუცილებლად უნდა შეიცვალოს ტაქტიკა. ყველაფერი დაცვით თამაშზე უნდა აიგოს, საიდანაც სწრაფი გადაწყობა უნდა მოხდეს შეტევაზე. უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ მომზადებასაც. ამ მხრივ კარგი სამსახური გაგვიწია წინა თამაშებმა, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

*ბოლო სიტყვა კვლავ ირაკლი მეძმარიაშვილმა ითხოვა და ჩვენი ნაკრების თითოეულ წევრს შემდეგ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში ფულად პრემიებს დაჰპირდა ათას-ათასი დოლარის ოდენობით.*

**ირაკლი ბერტაია**

# ფაჩულია ოქროს ბიჭია

## ულქერმა ეშმაკის ბორბალი გატეხა

**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ჩვიდმეტი წლის ცენტრი ზაზა ფაჩულია „ულქერის“ შემადგენლობაში თურქეთის ჩემპიონი გახდა. ოქროს მედლების მფლობელის ვინაობა სტამბოლში, „ეფესის“ მოედანზე უაღრესად დაძაბულ მატჩში გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ „ულქერს“ ფინალურ სერიაში გამარჯვებულის გასარკვევად გადამწყვეტი, მეშვიდე მატჩის გამართვა აღარ დასჭირდა და საწადელს ვადამდე მიაღწია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ზაზას სტამბოლში დავუკავშირდით.**



**— ზაზა, გილოცავთ წარმატებას. საქართველოდან დაბრუნებულს გუნდის ხელმძღვანელობა როგორც შეგხვდათ, რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნათ?**

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ეს გამარჯვება ერთობ მნიშვნელოვანია როგორც გუნდისთვის, ისე ჩემთვის. ძალიან გახარებული ვარ.

თბილისიდან დაბრუნებული გულთბილად მიმიღეს. აქ უკვე შეეტყოთ ჩვენი ნაკრების წარმატების შესახებ. განსაკუთრებით მოხარულნი იყვნენ ჩემი კარგი თამაშის გამო და კმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

**— ორივე შეხვედრაში მიიღეთ მონაწილეობა?**

— პირველ მატჩში ვითამაშე, ხოლო მეორეში, რომელმაც ჩვენი ჩემპიონობა გადაწყვიტა, სამწუხაროდ, არ მიმიღია მონაწილეობა.

**— დაძაბული თამაშები იქნებოდა.**

— მეტი რომ არ შეიძლება. განსაკუთრებით ბოლო, მეექვსე მატჩი გამოირჩეოდა ამ მხრივ. აქ იყო ყველაფერი, როგორც მოთამაშეებს შორის კინკლაობა, ისე გულშემატკივართა და, წარმოიდგინეთ, მწვრთნელთა შორის კონფლიქტიც კი. თამაში პირველივე წამებიდან ქულა ქულაზე მიდიოდა და ვერც ერთმა მოვახერხეთ საგრძნობლად დაწინაურება, მაგრამ შემდეგ „ეფესმა“ იმძლავრა და ათი ქულით წინ გავიდა. მათი გულშემატკივრები ამ დროს სულ გადაირივნენ და უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ აღმოვჩნდით. მეოთხე წელი იქნება, რაც აქ ვარ და ასეთი დაძაბული და ემოციური თამაში ჯერ არ მინახავს. დარჩენილ დროში ჩვენმა გუნდმა სასწაული მოახდინა. ათქულიანი ჩამორჩენის გაქვითვა ფინალურ სერიაში, თანაც სტუმრად, გადაჭედილ დარბაზში ნაღდი საოცრებაა. მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა და ორი ქულით გავიმარჯვეთ. ძნელია, სიტყვებით აღწერო ის, რაც საფინალო სირენის შემდეგ ხდებოდა. უზომოდ გახარებული ჩვენი გუნდი და მისი გულშემატკივრები და ნირწამხდარი ეფესელები გულდათუთქული ქომაგებით, რომელთა შორისაც არაერთი შეხვდა თავისი გუნდის მარცხს თვალებაცრემლებული.

**— სერიაში მეშვიდე გადამწყვეტი მატჩის გამართვა აუცილებელი არ გახდა, გუნდის მესვეურები ალბათ ძალიან გაიხარებდნენ.**

— სიხარულისგან ყველანი მეცხრე ცაზე არიან. განსაკუთრებით კი ჩვენი კლუბის პრეზიდენტი, რომლის თქმითაც, „ულქერმა“ ეშმაკის ბორბალი გატეხა. მას შემდეგ, რაც 1997 წელს ჩემპიონი გახდა, მას მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. რამდენჯერმე ვიყავით ფინალურ სერიაში, მაგრამ სულ ვმარცხდებოდით. ახლა კი ამ წარუმატებლობებს წერტილი დავუსვით და ჩემპიონებიც გავხდით. პრეზიდენტი უკლებლივ ყველა მოთამაშის კმაყოფილია და გუნდიდან არავის გაშვება არ სურს, ისევე როგორც ახლის მიღება. თუმცა ამ საკითხში საბოლოო სიტყვა მთავარ მწვრთნელზეა. სატრანსფერო პოლიტიკას გუნდში ის განაგებს და მისი გადასაწყვეტია, თუ ვინ წავა და ვინ დარჩება.

**— თქვენ რას აპირებთ, სხვა კლუბში ხომ არ გსურთ გადასვლა?**

— „ულქერში“ ძალიან იშვიათად მიწევს დიდხანს თამაში. მწვრთნელს მოედანზე ძირითადად 3-5 წუთით შევყავარ, რაც, რასაკვირველია, არ მაკმაყოფილებს. ჩემს ასაკში რაც შეიძლება მეტი უნდა ითამაშოს კალათბურთელმა, თუ მომავლისთვის სერიოზული გეგმები აქვს დასახული. მე კი უკალათბურთოდ არ შემიძლია და გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი ცხოვრება მხოლოდ მას მივუძღვნა. აქედან გამომდინარე, უთამაშებლობა მხოლოდ და მხოლოდ ზიანს მომიტანს და ჩემს, როგორც კალათბურთელის, ზრდას ხელს შეუშლის. ორიოდ დღეში ჩემი აგენტი ჩამოვა და მომავალ გუნდში შესაძლო გადასვლაზე მას დაველაპარაკები. თუ მატჩში მინიმუმ ათი წუთი მაინც არ მათამაშეს, „ულქერში“ გამჩერებელი არა ვარ. ჯობს, ცოტათი დაბალი დონის გუნდში ვირიცხებოდე და თამაშის მეტი საშუალება მქონდეს, ვიდრე ჩემპიონი ვიყო და ორი-სამი წუთით გავიდე მოედანზე. „ულქერთან“ ჩემი არასრულწლოვანების გამო არანაირი კონტრაქტი არ მაკავშირებს და თუ აქედან წასვლას გადავწყვეტ, ეს უმტკივნეულოდ მოხდება. ჩემს პირობებს თუ დააკმაყოფილებენ, „ულქერში“ დავრჩები.

**— სეზონი დასრულებულია, ალბათ, თბილისში ჩამოხვალთ?**

— თამაშის შემდეგ ჟურნალისტები არ მოგვცილებიან, მოსვენება არა გვაქვს. ხვალ პროგრამას მომცემენ, სადაც ზუსტად იქნება განსაზღვრული, თუ რა ვადით დაგვითხოვენ. ამის გარდა პროგრამაში სხვა მრავალი დირექტივა იქნება მოცემული, რომლის შესრულებაც აუცილებელია. კვების რაციონიდან დაწყებული დასვენების ადგილით დამთავრებული ყველაფერი ზემიწევნით იქნება შემუშავებული.

**— აგვისტოს ბოლოსთვის ნაკრები მეორე წრეს იწყებს. კვლავ ხომ არ შეგაფერხებენ?**

— რამდენჯერაც ნაკრებში გამომიძახეს, იმდენჯერ გართულდა ჩემი გაშვება, ბოლო დღემდე გაურკვევლობაში ვიყავი. თურქები ვერ ეგუებიან ამას, ყველა ღონეს ხმარობენ, რომ გუნდში დამტოვონ, მაგრამ მათ ყოველთვის უწევთ დათმობაზე წასვლა. დარწმუნებული ვარ, ნაკრების მომავალ თამაშებზეც ასე იქნება. მათ მიზეზი არასდროს ელევათ, რათა გუნდი არ დავტოვო, თუმცა ვფიქრობ, ამჯერად ყველაფერი უპრობლემოდ მოგვარდება, რადგან, ჩემი ვარაუდით, ამ დროისათვის „ულქერს“ შეკრება ჯერ არ ექნება დაწყებული.

**— მას შემდეგ, რაც ბულგარეთმა ბელარუსი დაამარცხა, ჩვენს ჯგუფში მდგომარეობა საკმაოდ დაიძაბა...**

— ჩემთვის გაუგებარია, როგორ მოახერხა ბულგარეთის ნაკრებმა ბელარუსთა ოცდაექვსი ქულით დამარცხება. ამ თამაშის შემდეგ ცხადი გახდა, თუ რა ძნელი თამაში გველის ბულგარეთში. ვიცოდი, რომ ბულგარელები საკუთარ კედლებში ტრადიციულად ძლიერები იყვნენ, მაგრამ თუ ასეთ დონეზე, ნამდვილად არ მოველოდი.

აგვისტომდე საკმაო დროა. საჭიროა, ეს პერიოდი ნაკრების წევრებმა შეძლებისდაგვარად ერთად ვარჯიშში გავატაროთ. ასევე აუცილებელია საკონტროლო მატჩების ჩატარება. ვფიქრობ, ჩვენ შეგვწევს ძალები ბულგარელთა დასამარცხებლად. მთავარი ყურადღება ამ მატჩზე უნდა გადავიტანოთ.

**ირაკლი ბირკაია**

საფრანგეთი

# პრეზიდენტი მოტყუვდა

| პლეი ოფი | |
|---|---|
| ნახევარფინალი (ორ მოგებამდე) | |
| ვილერბანი | 2 |
| სტრასბური | 0 |
| სტრასბური 79:84 ვილერბანი | |
| პო ორტეზი | 2 |
| ლე მანი | 0 |
| ლე მანი 81:85 პო ორტეზი | |

საფრანგეთში ნახევარფინალების მეორე მატჩები ჩატარდა და გადამწყვეტი თამაში არსად აღარ გახდა საჭირო. ფავორიტებმა გასვლაზეც მოუგეს მეტოქეებს და ახლა ფინალში ერთმანეთს შეეჭიდებიან.

ლე მანში სპორტის დარბაზი პირამდე შევსებულიყო. პირველი ბურთი ავტომრბოლმა ანრი პესკაროლომ ააგდო, ვინაიდან ამ ქალაქში უცნობილესი 24-საათიანი რბოლის გამო ავტოპილოტები დიდ პატივში არიან. ერთადერთი მასპინძლების გამარჯვებაღა აკლდა და ლემანელების სასიამოვნო საღამო ნამდვილად ზეიმში გადაიზრდებოდა.

თუმცა იქაურთა ზეიმი სულ არ ანაღვლებდა „პო ორტეზს“, რომელმაც ბოლო წამებზე გამოგლიჯა გამარჯვება მეტოქეს და ფინალის საგზურიც ვადამდე მოიპოვა.

თავისი ქომაგების მიერ გამხნევებულმა ლემანელებმა თამაში მოწინააღმდეგეზე უკეთ დაიწყეს და თავიდან ფარზეც კი მოიპოვეს უპირატესობა, ვინაიდან ბეარნელებს აყლაყუდა რუმინელი გეორგე მურეშანი აკლდათ. მასპინძლები საწყისი 5 წუთის განმავლობაში წინ იყვნენ, ოღონდ მცირედით და მეექვსე წუთზე ჯერი მაკკალოფის სამქულიანმა ანგარიში გაათანაბრა (10:10).

აქედან მოყოლებული „ლე მანი“ ერთობ აირია, რითაც „პო ორტეზმა“ მშვენივრად ისარგებლა და პირველი მეოთხედის მიწურულს წინ 11 ქულით გაიჭრა. პოელები კარგად თამაშობდნენ, რასაც მათი პრეზიდენტი პიერ სეიანი მატჩამდე ნამდვილად არ ელოდა. იგი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მისი გუნდი გადაღლილი გამოჩნდებოდა და შეხვედრას თავიდანვე იოლად დათმობდა. თუმცა სეიანი მოტყუვდა, „პო ორტეზს“ დაღლილობისა არაფერი ემჩნეოდა.

ხოლო მეორე მეოთხედი რომ დათმეს, ამაში პოელებზე მეტად „დამნაშავენი“ ლემანელები არიან. მასპინძლებმა შეძლეს თამაშის გამოსწორება და როჯერსისა და კინგის აქტიურობის წყალობით ტაიმი თავიანთ სასარგებლოდაც დაასრულეს — 40:38.

შესვენების შემდეგ ისევ „ლე მანმა“ იმძლავრა და 45:38 დაწინაურდა. 24-ე წუთზე კი უკვე 10 ქულამდე გაზარდა თავისი უპირატესობა (53:43). თუმცა მისი ორი კალათბურთელი ვადაზე ადრე გამოეთხოვა მატჩს ხუთი პერსონალურის გამო, რამაც თამაში აურია და ჩასაფრებულ „პო ორტეზსაც“ მეტი რა უნდოდა.

ბეარნელებს ფინალში რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „ვილერბანი“ დაუხვდებათ. გრეგ ბენიოს შეგირდებს უკანასკნელ ოთხ მატჩში მეტოქე ფრიად დაეწიოკებინათ და „სტრასბურთან“ მეორე შეხვედრაშიც ასევე იზამენ, ამბობდნენ ფრანგები, მაგრამ ალზასელებმა საკუთარი ტყავი ძვირად გაყიდეს.

თამაში ძალიან დაძაბულად წარიმართა. ორივე გუნდი დაცვაში მჭიდროდ ირჯებოდა და ამიტომაც ქულების მოპოვება უჭირდა. 5 წუთის შემდეგ ანგარიში ოდენ 6:4 იყო სტუმართა სასარგებლოდ. საშუალო და შორი მანძილებიდან ტყორცნები არ წაგვივიდაო და ბენიომ საქმეში თავისი ახალი ამერიკელი ცენტრი, ჯეიმსი (14 ქულა) ჩართო, რამაც სასურველი შედეგი მალე გამოიღო. მეოთხედი „ვილერბანმა“ 23:13 მოიგო.

მეორე ათწუთეული ჯეიმსმა სათადარიგოთა სკამზე დაიწყო. ამან ხელ-ფეხი გაუხსნაა ალზასელ ცენტრ რეი სმიტს და მე-16 წუთზე ანგარიშში სხვაობა 3 ქულამდე შემცირდა (30:33). თუმცა „მწვანეებმა“ ტაიმის დარჩენილ დროში ისევ იყოჩაღეს და შესვენებას 9-ქულიანი უპირატესობით (50:41) უწიეს.

მეორე ტაიმში „სტრასბური“ რამდენჯერმე წამოეწია მეტოქეს და მერე ისევ ჩამორჩა. 30-ე წუთზე კი შეძლო და წინაც გავიდა (56:55), მაგრამ მეოთხედი მაინც „ვილერბანის“ სასარგებლოდ (59:58) დასრულდა. 35-ე წუთზე უკანასკნელად დაფიქსირდა ანგარიშში თანაფარდობა (65:65). ამის მერე ვილერბანელებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და დაამტკიცეს, რომ მეტოქეზე ძლიერები იყვნენ.

**გაგი გურული**

ფინალი (ორ მოგებამდე)

**ვილერბანი — პო ორტეზი**

*მატჩები გაიმართება 19 და 23 ივნისს და, თუ საჭირო გახდა, 30 ივნისს*



ლე მანი — პო ორტეზი. დუეინ სხოლტენი (მარცხნივ) პოელი ბორის დიავის წინააღმდეგ

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

**კროკოს ადმინისტრაციის განცხადება**

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16, ფალიაშვილის ქუჩა №27) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16), მარნეულში (რუსთაველის ქუჩა №39) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. მე-4 ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 001 | სიტარდი-ვოლენდამი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 002 | ტელსტარი-ზვოლე | 1,8 | 3,3 | 3,4 |

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. მე-5 ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 003 | სპარტა-კამბური | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 004 | ექსელსიორი-იგლსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**პოლონეთი. 30-ე ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 005 | ამიცა-ლეგია | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| 20.00 | 006 | ვისლა-ზაგლებე | 1,35 | 4,0 | 5,6 |
| 20.00 | 007 | პლოცკი-რაძიონკოვი | 2,5 | 3,0 | 2,0 |
| 20.00 | 008 | რუხი-გროცლინი | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 20.00 | 009 | შლიონსკი-ვიძევი | 1,95 | 2,8 | 3,5 |
| 20.00 | 010 | კატოვიცე-გურნიკი | 2,0 | 2,5 | 2,0 |
| 20.00 | 011 | სტომილი-პოგონი | 1,7 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 012 | პოლონია-ოდრა | 1,6 | 2,8 | 5,0 |

**დანია. 33-ე ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 013 | ოლბორგი-ლიუნგბიუ | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 014 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,45 | 3,8 | 5,3 |
| 22.00 | 015 | აკადემისკი-მიდტიულანდი | 2,1 | 3,2 | 2,5 |
| 22.00 | 016 | ჰადერსლევი-ორჰუსი | 4,4 | 3,6 | 1,6 |
| 22.00 | 017 | ოდენსე-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 018 | სილკებორგი-ჰერფიოლგე | 1,15 | 4,4 | 8,0 |

**შვედეთი. მე-10 ტური**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 020 | აიკ-ჰალმსტადი | 1,85 | 3,3 | 3,5 |

**ფინეთი. მე-12 ტური**
**14 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 021 | ჰიკ-როვანიემი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 20.30 | 022 | ჰაკა-იოკერიტი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 20.30 | 023 | კუოპიო-ვაასა | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 20.30 | 024 | ლაჰტი-ჯაზი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 20.30 | 025 | ტამპერე-ინტერი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

**იტალია. თასის ფინალი. II მატჩი**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 026 | ფიორენტინა-პარმა | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.40 | 501 | პალმეირასი-ბოკა ხუნიორსი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**14 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 502 | როსარიო-კრუს ასული | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**კალათბურთი. ფინალი**
**13 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 801 | ფილადელფია-ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება. !

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ჯირო დ'იტალია

# შავი ჯიროს სუფთა ჩემპიონი



**ჯილბერტო სიმონი**

დაიბადა 1971 წლის 25 აგვისტოს პალუ დი ჯიოვეში

170 სმ, 58 კგ

პროფესიონალია 1994 წლიდან

გუნდები: ჯოლი (1994), აკი (95-96), MG (97), კანტინა ტოლო (98), ბალანი (99), ლამპრე (2000-)

გამარჯვებები:

„ჯირო 2001" (მეოცე ეტაპი არონაში), „ჯირო 2000"-ის ერთი ეტაპი (ბორმიო), „ვუელტა 2000"-ის ერთი ეტაპი (ანგლირუ), „რომანდიის ტური 2001"-ის ერთი ეტაპი, „შვეიცარიის ტური 1999"-ის ერთი ეტაპი, „ტრენტინის ტური 1997"-ის ერთი ეტაპი, „ემილიის ტური 2000"-ის ჩემპიონი

წლევანდელი „ჯიროს" დაწყებამდე ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-14 ნომერი

**დამთავრდა** რიგით 84-ე „ჯირო დ'იტალია", რომელსაც დოპინგის გამო რომში გამომავალმა ავტორიტეტულმა „კორიერა დელო სპორტმა" „შავი" უწოდა.

დამთავრდა იგი იტალიელი ჯილბერტო სიმონის გამარჯვებით, მაგრამ იგივე გაზეთი გვაფრთხილებს და მოცდას გვირჩევს სიმონის მილოცვამდე, მასაც რამე ხომ არ უთაღლითიაო. თუმცა თავად სიმონი გადაჭრით უარყოფს დოპინგთან ყოველგვარ კავშირს და უშიშრად აცხადებს სუფთა ვარ, ნაღდი ჩემპიონი ვარო. ჩვენც სხვა არა დაგვრჩენია რა, მილოცვის გარდა, მითუმეტეს, რომ მან მთელი ტურნირი ბრწყინვალედ ჩაატარა და დიადი ედი მერქსის შემდეგ პირველი შეიქნა, მეორე ადგილზე გასულს ამდენი რომ მოუგო (7წთ და 31წმ).

თავად საუკუნის პირველი „ჯირო" კი საკმაოდ საშუალო დონისა გამოდგა და ისტორიაში უპირველესად დოპინგსკანდალის გამო შევა. აკრძალული ნივთიერებების გამოყენება პელოტონის ერთი ნაწილისათვის ჩვეულებრივ საქმედ ყოფილა ქცეული და ეს აპენინებზე კიდევ ერთხელ დადასტურდა.

„ჯიროს" გზა ასეთი იოლი კარგა ხანია აღარ ყოფილა. მრბოლებს სულ ორი ეტაპი ჰქონდათ მაღალმთიანი და თანაც ერთ-ერთი მათგანი გაფიცვის გამო გაუქმდა კიდეც. სწორედ ამიტომ სიმონის ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება ლამპრელის შედეგს კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს.

სიძნელეების ნაკლებობის მიუხედავად პელოტონი მაინც საკმაოდ ნელ, დაახლოებით ათიწლისწინანდელ ტემპში მოძრაობდა, რაც, თავდაჯერებით შემიძლია გითხრათ, ეპო-ს ორგანიზმში აღმოჩენის ფრანგული მეთოდის დანერგვის შედეგია. ყველას ეშინოდა ერითროპოიეტინის მიღება, რადგან ჩავარდნის და მკაცრი სასჯელის მიღების შანსი ერთობ დიდი გახლდათ.

მრბოლებს ძალების აღდგენაც შეეძლოთ, ვინაიდან ეტაპთა მესამედი 150 კილომეტრს არ აჭარბებდა, მაგრამ საშუალო სიჩქარემ 37 კმ/სთ-ს მაინც ვერ გადააჭარბა.

პრობლემების გარდა „ჯიროზე" საინტერესოც ბევრი რამ მოხდა. მაგალითად, პელოტონი პირველად გადავიდა მეზობელ სლოვენიაში და ერთი ეტაპის ფინიში თბილისის დაძმობილებულ ქალაქ ლიუბლიანაში გაიმართა.

სიმონის გარდა თავი გამოიჩინეს სხვებმაც, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი მარიო ჩიპოლინია. ამ უბერებელმა პეპელამ ოთხი ეტაპი მოიგო და ჯამში 34 ჯიროული გამარჯვება დააგროვა, რაც ისტორიაში მეორე შედეგია. მას საკმაოდ დიდი მეტოქეობა გაუწია გერმანულ „ტელეკომში" ერიკ ზაბელის შემცვლელმა დანილო ჰონდომ, ვისგანაც აქ ორი ეტაპის მოგებას არავინ ელოდა. მთიელებიდან კი სამხრეთამერიკელები გამოირჩნენ, რომლებმაც რამდენიმე ძნელი ეტაპი მოიგეს.

მთავარი იმედგაცრუება კი დოპინგთან ერთად პირველ ეტაპზე ფრანჩესკო კასაგრანდეს წაქცევა და ხელის მოტეხვა იყო, რამაც, როგორც შემდეგ გამოჩნდა, სიმონის მთავარი კონკურენტი მოაკლო. თუმცა ამ სკანდალების გადამკიდე, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველი ნომრისთვის ტრავმა „სასარგებლოც" კი იყო, რადგან კარაბინერთა ხელში არ მოხვდა.

ვინ იცის...

**84-ე „ჯიროს" ყველა ლაურეატი**

**საერთო ჩათვლა:** ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)

**ქულების ჩათვლა:** მასიმო სტრაცერი (იტალია, მობილვეტა)

**მთის ჩათვლა:** ფრედი გონსალესი (კოლუმბია, სელე)

**ინტერჯირო (საშუალედო სპრინტი):** მასიმო სტრაცერი (იტალია, მობილვეტა)

**კომბინირებული ჩათვლა:** ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)

**გუნდური ჩათვლა (დრო):** ალესიო (იტალია)

**გუნდური ჩათვლა (ქულები):** ფასა ბორტოლო (იტალია)

# ეჭვმიტანილია... სამოცდაათი (70!) მრბოლი

**კვირის** იტალიური პრესის თანახმად „ჯიროს" მონაწილეთა დაახლოებით ნახევარი გასულ ოთხშაბათს იტალიელი სამართალდამცავების მიერ დაგებულ ხაფანგში გაბმულა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ ტურნირის მორიგი ეტაპის დამთავრების შემდეგ კარაბინერებმა სან რემოში დასასვენებლად გამზადებულ პელოტონის წევრებს დიდი ჩხრეკა ჩაუტარეს, რის გამოც მრბოლები გაიფიცნენ და ხუთშაბათის მთიანი ეტაპი გაუქმდა.

გუშინწინ კი მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა, რომ ფლორენციის პროკურატურაში სამოცდაათ მრბოლზე საქმე გაიხსნა. მათი ვინაობა ამ დღეებში გაირკვევა.

ეჭვმიტანილთა უმრავლესობასთვის კოფეინის ტიპის აკრძალული ნივთიერებები უპოვნიათ. ამის გარდა, გაცილებით „მძიმე" პრეპარატებიცაა აღმოჩენილი. ამას იტალიური გაზეთები ამტკიცებენ, რომლებიც ამბობენ, რომ კარაბინერების საქმე ერთ-ერთი „მომნანიებლის" ნაუბარმა გააიოლა. სინდისის მიერ შეწუხებულ მრბოლს ისეთი დოპინგის შესახებაც უსაუბრია, რომელიც სულ ახალია — RSR-13. ეს პრეპარატი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოუგონიათ და ჰემოგლობინის სინთეტური მოდიფიკატორია. „კორიერა დელო სპორტი" წერს, რომ წლეულს „ჯიროზე" RSR-13 ბევრს გამოუყენებია, რადგან იგი სისხლის მიერ ჟანგბადის გადატანას აუმჯობესებს და თანაც ორგანიზმში ჰემატოკრიტების დონეს არ ზრდის, ანუ დოპინგკონტროლზე მრბოლის გამოჭერის შანსი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია.

ოთხშაბათის ოპერაციისას პოლიციამ ბევრი უეტიკეტო ფლაკონი იპოვნა, რომელთა შემოწმებაც ამჟამად მიმდინარეობს რომისა და ფლორენციის ლაბორატორიებში და გამოკვლევის შემდეგღა გამოჩნდება ვინ იყენებდა RSR-13-ს და ვინ სხვა რამეს.

ისე, კარაბინერთა პირველი დიდი მსხვერპლი დარიო ფრიგო აღმოჩნდა, რომელიც საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე იყო, ჯილბერტო სიმონისთან მხოლოდ 15 წამს აგებდა და ერთადერთი მას შეეძლო „ლამპრეს" ლიდერთან ვარდისფერი მაისურის საბოლოოდ დაპატრონებისათვის ბრძოლა. თუმცა ფრიგოს შენახული დოპინგი უპოვნეს და მისმა „ფასა ბორტოლომ" იგი ტურნირიდან და გუნდიდანაც მოკვეთა.

იტალიელმა მრბოლმა ჯერჯერობით სიჩუმე ამჯობინა და მხოლოდ ოფიციალურ კომუნიკეში ქომაგთათვის ბოდიშის მოხდით შემოიფარგლა. ოღონდ იქვე დაამატა, რომ რამდენიმე დღეში უფრო დაწვრილებით ისაუბრებდა. „პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მალე ბევრ რამესაც ვიტყვი" — განაცხადა ფრიგომ.

ფლორენციის გარდა გამოძიება დაიწყო პადოვას პროკურატურამაც. აქ „ლიკიგასის" ხუთი მრბოლია ეჭვმიტანილი. იტალიური პრესის თანახმად ამ ხუთეულში არიან მსოფლიოს ჩემპიონი ინდივიდუალურ რბოლაში უკრაინელი სერჰიი ჰონჩარი, მეათე ეტაპის მომგები იტალიელი დენის ძანეტე, პირველ ეტაპზე გამარჯვებული ელის რასტელი და ჯანი ფარეზინი.

უკანასკნელი დღეების ერთ-ერთი მოსალოდნელი მსხვერპლია „ჯიროს" 1997 და 1999 წლებში გამარჯვებული ივან გოტიც. გასულ კვირას მისი სიმამრის მანქანაშიც აღმოუჩენიათ აკრძალული ნივთიერებები და ვინაიდან სიმამრი უბრალო ნათესავის გარდა გოტისთვის დამხმარეც არის რბოლებისას, ამიტომ...

რა მოჰყვება ამ აურზაურს უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

**გაგი გურული**



ევროპის ჩემპიონატი

# ჰოლანდიელს ჰოლანდიელი წამოეწია

**სათაური** მთლად ზუსტი ვერ არის იმიტომ, რომ დიდოსტატ სერგეი ტივიაკოვის ჰოლანდიელად გამოცხადება უიმედო საქმეა. იგი უბრალოდ ამ ქვეყნის სახელით თამაშობს და 10 ტურის შემდეგ მოწინავე სამეულშია. ეს ამბავი მაკედონიურ ოჰრიდში, ევროპის ჩემპიონატზე ხდება.

მანამდე კი მთელი ორი ტურის მანძილზე ჩემპიონატს ეული ლიდერი ჰყავდა, ასევე ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი, რომელმაც მე-8 ტურში რუსი კონსტანტინ ასეევის შავებით დამარცხების შემდეგ ცხრილის სათავე დაიპყრო. ვან ველის მეცხრე რაუნდშიც ვერავინ დაეწია, მიუხედავად იმისა, რომ პარტია ყაიმით დაასრულა, რადგან მდევრებმა იპასიურეს და მხოლოდ მე-10 ტურში სომეხთა ხარჯზე წამოეწივნენ ჰოლანდიელს „ჰოლანდიელი" და ებრაელი. ხსენებულმა ტივიაკოვმა სმბატ ლპუტიანს მოუგო, ემილ სუტოვსკიმ ჩეხეთის დროშით მოთამაშე სერგეი მოვსესიანი დაამარცხა. ვან ველი სომეხსავე რაფაელ ვაჰანიანს ხვდებოდა და შავებით ნახევარ ქულას გამორჩა. ლიდერებს 7,5-7,5 ქულა აქვთ და ყურისძირში ცხრა მდევრის სუნთქვას გრძნობენ. მათში მანდილოსანიც ურევია: იუდით პოლგარმა მეცხრე ტურში შავებით მოიგო.

კიდევ 16 მდევარს 6,5-6,5 ქულა დაუგროვდა და საამოდ გვრჩება, რომ მათგან ორი ქართველია, ზურაბ აზმაიფარაშვილი და გიორგი ყაჭეიშვილი. როგორც კი ჩემპიონატი ძალაში შევიდა, მოვლენები ლოგიკურად განვითარდა, პოტენციურად უფრო ძლიერი და გამოცდილი ჩვენიანები დაწინაურდნენ, ახალგაზრდები ჩამორჩნენ, მაგრამ მეორე ფაქტიც ყურადსაღებია — არც ერთი ქართველი აუტსაიდერებში არ ურევია. აი, მიხეილ მჭედლიშვილს ხომ ყველა ქართველზე უარესი შედეგი აქვს? მაინც 10-დან 4,5 ქულა თითქმის ისაა, რასაც რუსები „პოლტინნიკს" უწოდებენ და ქულათა საპატიო ნახევარს გულისხმობს. 5-5 ქულა აქვთ ბაადურ ჯობავასა და ზვიად იზორიას. ესენი მეცხრე ტურში შეხვდნენ და ოჰრიდის პირველი ქართული დერბი ზავით გასრულდა.

მთლიანად ქართველებმა მერვე ტურში 3 პარტია მოიგეს, 1 ყაიმით დაასრულეს და 2 წააგეს. ამას მოჰყვა მეცხრე ტურის +1=3-0 და ის ერთადერთი მოგება გიორგი ყაჭეიშვილმა ფრიად ცნობილ ესტონელ დიდოსტატთან, იან ელვესტთან მოიპოვა. რიგიანად წაიყვანეს ჩვენებმა მეათე ტური, სადაც იმარჯვეს აზმაიფარაშვილმა, იზორიამ და ჯობავამ, ყაჭეიშვილმა და სტურუამ ნახევარ-ნახევარი ქულა შეიმატეს, მჭედლიშვილმა წააგო.

ფინიშამდე სამი ტურით ადრე ოჰრიდში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, რაც ასერიგად დამახასიათებელია შვეიცარიული სისტემისთვის. ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატზე გამსვლელი 46 ადგილისთვის ორი იმდენი მოჭადრაკე მაინც რეალურად იბრძვის და არც დანარჩენებს გადაუწურავთ იმედი.

**დავით გულუა**

**ვითარება 10 ტურის შემდეგ**

1-3. ლუკ ვან ველი (ჰოლანდია), სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია), ემილ სუტოვსკი (ისრაელი) 7,5; 4-12. იუდით პოლგარი (უნგრეთი), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი), კონსტანტინ საკაევი (რუსეთი), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), კონსტანტინ ასეევი (რუსეთი), აშოტ ანასტასიანი (სომხეთი), სერგეი ვოლკოვი (რუსეთი), გეორგი ტიმოშენკო (უკრაინა) 7

„განვითარებული ჭადრაკის" ტურნირი. ლეონი (ესპანეთი)

# ფინალის რეტრო მსგავსი სცენარით

**სანამ** ევროპელ მოჭადრაკეთა ფართო მასები მაკედონიაში ომობენ, ესპანურ ლეონში უმაღლესი ელიტის ოთხი წევრი ჩავიდა, ითამაშა და შინ დაბრუნებაც მოასწრო. საუბარია ეგრეთ წოდებული „განვითარებული ჭადრაკის" ტურნირზე, რომელშიც მოჭადრაკეს მოწინავე კომპიუტერული პროგრამების გამოყენება შეუძლია, ოღონდ ლეონში შეზღუდვა იყო: კომპიუტერი იძლეოდა რჩევას, მოჭადრაკეს კი მთელი პარტიის სათამაშოდ მხოლოდ ოცი წუთი ჰქონდა სვლაზე 10 წამის დამატებით. „ნოკაუტ-სისტემით" ჯერ ნახევარფინალები გათამაშდა, მერე — ფინალი. ყოველი ეტაპი 4 პარტიასა და საჭიროებ ამებრ, ბლიცებს მოიცავდა.



ვიშვანათან ანანდი

გავხსნათ ფრჩხილები და ვთქვათ, რომ ლეონში თამაშობდნენ ვიშვანათან ანანდი, ვისთვისაც ესპანეთი მეორე სამშობლოა, ალექსეი შიროვი, ვისთვისაც ესპანეთი უკვე პირველი სამშობლო გახდა, პეტერ ლეკო და ვესელინ ტოპალოვი. ბოლო სამი ევროპელი გახლავთ, მაგრამ პლებეებთან თავის არგაყადრების თუ ჭადრაკის ოფიციოზთან დაძაბული ურთიერთობის მიზეზით მაკედონიაში არ ჩასულან, ისევე, როგორც (ცხადია!) სხვა მაღლები: გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი და ვლადიმირ კრამნიკი.

ლეონში ერთი ნახევარფინალური წყვილი სანახაობრივი თამაშის მიმდევრებმა შექმნეს (შიროვი — ტოპალოვი), მეორე — პრაგმატიკოსებმა (ანანდი — ლეკო) და პარტიებიც შესაფერისად გათამაშდა: შიროვი და ტოპალოვი მძვინვარებდნენ, ანანდი და ლეკო ცივად და და გამოზომილად ურტყამდნენ ერთურთს. ტოპალოვმა მოიგო პირველი პარტია, როცა შავ მეფეს კიდურა პაიკებით მიესია, მაგრამ შიროვმა ხურდა მეორე პარტიაშივე დაუბრუნა. იქ მისი მხედრები თავხედურად შეჯირითდნენ შავი მეფის ცენტრალურ ბანაკში და შოკური თერაპიის გარდა ვერა მეთოდით ვერ გამოყრიდით იქიდან. ტოპალოვმა მიმართა უკიდურეს ზომას და ორივე მხედარი დახოცა, მაგრამ ულაზიეროდ დარჩა. შემდეგ ინიციატივა ბულგარელს დარჩა, მისი ეტლები და მსუბუქი ფიგურები ლაღად დაქროდნენ დაფაზე, მაგრამ მატერიალური ზარალის ბოლომდე ანაზღაურება ვერ შეძლეს. მესამე პარტია შიროვმა უკვე შავებით მოიგო და მეოთხეშიც იმხელა უპირატესობა ჰქონდა, მოგება თავისუფლად შეეძლო, მაგრამ ფინალში ანადი ელოდა და ტვინი ზედმეტად არ დატვირთა.

ანანდს ლეკოს მორევა იაფი არ დასჯდომია. მისი სეკუნდანტი ცნობილი გერმანული პროგრამა „დიპ ფრიცი" იყო, ვინც მოჭადრაკე კომპიუტერებში ყველაზე ცნობილი, აწგანსვენებული „დიპ ბლუს" ორ პროცესორზე მომუშავე მემკვიდრე გახლავთ.

„ფრიცის" რჩევებმა პირველ პარტიაში ანანდი მხოლოდ აზარალა და უნგრელმა უეცრად შავებით მოიგო, მაგრამ ფიდეს ჩემპიონმა მეყსეულად ანგარიში გაათანაბრა. ბოლო ორი პარტია ყაიმით დასრულდა და ბლიცებში კი ინდუსმა იმარჯვა. შედეგად 3,5:2,5 და ფინალი იყო ისეთი, როგორიც გასული წლის ბოლოს დელიში, ფიდეს მსოფლიოს პირველობაზე. მაშინ ანანდმა პირველი ყაიმის შემდეგ ზედიზედ სამჯერ მოიგო და ჩემპიონი ვადაზე ადრე გახდა. ისტორია განმეორდა ლეონშიც. პირველი პარტია ყაიმით დასრულდა, მერე კი ანანდმა ორი მოიგო და დასკვნით პარტიაში შიროვის გამარჯვება მხოლოდ კარის გაჯახუნება იყო.

**დავით გულუა**

კალიფორნიის გრან პრი

# სასწაული ანგელოზთა ველზე



სტეისი დრაგილამ ქალთა ჭოკით ხტომაში ახალი ხანა დაიწყო

**კალიფორნიაში,** პალო ალტოს სამძლეოსნო სარბიელზე, რომელსაც „ანგელოზთა ველი" ჰქვია, ამ უქმეებზე მეჭოკე ქალმა სტეისი დრაგილამ ბევრი ვაჟკაცისთვისაც მიუწვდომელი სიმაღლეები დაიპყრო. ეს მოხდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) „გრან პრის" მორიგ ეტაპზე, რომელიც ამერიკელი ათლეტებისთვის ქვეყნის პირველობისთვის (21-24 ივნისი, იუჯინი, ორეგონის შტატი) გენერალური რეპეტიციაც იყო, ხოლო ვინც ამერიკის ჩემპიონატზე თავს გამოიჩენს, იმას აგვისტოში, ედმონტონის მსოფლიო პირველობისკენაც ხსნილი აქვს გზა. მოკლედ, ამერიკელები პალო ალტოში ყველაზე მეტს ინდომებდნენ და აკი მოიპოვეს კიდეც 15-დან 7 პირველი ადგილი, ხოლო ვაჟთა 110 მეტრზე თარჯრბენსა და ბირთვის კვრაში, ქალთა ჭოკით ხტომაში სულაც მთელი პოდიუმები შეავსეს, მაგრამ მძლეოსნობის უბრალო ქომაგის თვალში მთელი ეს სტატისტიკა წვრილმანია სტეისი დრაგილას ჭოკით ორი ნახტომის ფონზე — პირველი სიმაღლით 4,71 მეტრი გახლდათ, მეორე — 4,81 და შემდეგაც, გათავხედებული დიაცი 4 მეტრსა და 88 სანტიმეტრს ეპოტინებოდა, მაგრამ სამივე ცდა ჩაუფლავდა და ერთ საათით ჭკუაზე გადასულმა 5 275-მა მაყურებელმა, როგორც იყო, სული მოითქვა.

ადრეული მსოფლიოს რეკორდიც დრაგილასი იყო. მაისში, პოკატელოს ტურნირზე ამერიკელი 4 მეტრსა და 70 სანტიმეტრს გადაევლო, ახლა კი გაიძახის, მერე რა, რომ 30 წლისა ვარ, 5 მეტრზე გადავლებას წლეულსვე ვაპირებო. „მთავარი ის არის, რომ დღეს დილით ნათელ გონებაზე გამეღვიძა — ხსნიდა ალგზნებული დრაგილა — თავს ყოველმხრივ კარგად ვგრძნობდი და მთავარი ესაა: საქმის საკეთებლად ასი პროცენტით შემართული უნდა იყო. სხვა მხრივ კი ბოლოხანს გამორბენის ტექნიკა ერთობ დავხვეწე და ამანაც შემიწყო ხელი".

დრაგილას ფონზე მარიონ ჯონსის 200 მეტრზე ნაჩვენები 22,70 სულ არ გამოჩნდა, მაგრამ ქალთა სპრინტის ლიდერის ამ შედეგს სხვა კუთხეებიდანაც შევხედოთ: ჯერ ერთი, ჯონსი პირველ ადგილზე გავიდა, მეორეც, კიდევ ერთხელ გაუსწრო სახელოვანი ჯონ სმიტის მოწაფეს, ციცქნა ინგერ მილერს (მილერი მეოთხე იყო) და ბოლოს, თვალნათლივ უჩვენა, რომ ქმართან ახლანდელ განქორწინებას მასზე იოტისოდენადაც არ უმოქმედია. იმ დროს, როცა გაყრის პროცედურაზე ჯონსის აწ უკვე ყოფილი ქმარი სი ჯეი ჰანტერი გოლიათის ცრემლებს თეთრი ცხვირსახოცით იწმენდდა, მარიონს წარბი არ შერხევია და უკვე მომდევნო დღეს ცხოვრება გაიხალისა — ტელეკომპანია „ენ-ბი-სის" კომენტატორი გახდა და ხანდახან ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ვნბა) თამაშებს ეთერში გაუძღვება. ჯონსის დებიუტი გასულ კვირას „ჰიუსტონ კომეტსისა" და „ფინიქს მერკურის" მატჩში შემდგარა. ამბობენ, რეპორტაჟი რიგიანად წაიყვანაო, რაც ბუნებრივი ჩანს, რადგან სანამ სირბილს შეუდგებოდა, ჯონსმა ორი წელი კალათბურთი ითამაშა ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში და კოლეჯიდან მიღებული ჟურნალისტური განათლებაც ერთობ წაადგებოდა.

მაგრამ ჯერ ნამდვილი საქმე, ანუ სირბილი. ჯონსი ამერიკის ჩემპიონატისთვის ემზადება, რათა მსოფლიოს პირველობაზე 200 მეტრში გამსვლელი ადგილი დაიბევოს. ამ დისციპლინაში მას ჯერ მხოლოდ ოლიმპიადის ოქრო აქვს, მსოფლიოსი კი — არა, ამიტომ ამ ნადავლის ხელში ჩაგდებას ჩვეულად მიზანმიმართულად და მუყაითად აპირებს, რისთვისაც ედმონტონში სიგრძეზე ხტომაზე თქვა უარი. 100 მეტრზე ჯონსი მსოფლიოს ჩემპიონიცაა, ამიტომ ამერიკის ჩემპიონატზე ამ დისტანციას აღარ ირბენს, „უაილდ ქარდი" აქვს ედმონტონისთვის, როგორც ჩემპიონს.

სხვათა მიღწევებიც დაიჩრდილა შაბათს დრაგილას ფანტასტიკური ნახტომების წყალობით. სეზონის რეკორდები დაამყარეს მოთარჯრბენე ტერენს ტრამელმა და სტაიერმა ლუკ კიპკოსგეიმ, ხოლო ჯონ გოდინამ კინაღამ დუბლი შეასრულა. გოდინა სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია ბირთვის კვრაში. პალო ალტოშივე გამოდიოდა ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი ადამ ნელსონი, მაგრამ ნელსონს სიდნეის შემდგომ პროგრესის ნიშნები არ ეტყობა, გოდინამ კი მოუმატა, ამიტომ შაბათს სწორედ მან გაიმარჯვა. ნელსონი მეორე იყო, კანადელი ჯეისონ ტიუნკსი კი — მეექვსე ზედიზედ 5 ამერიკელის შემდეგ. ცოტა ხანში გოდინამ და ტიუნკსმა ბირთვი გადააგდეს და ბადრო მოიმარჯვეს, ოღონდ ამ საქმეში კანადელმა იძალა და გოდინას მეორე ადგილი დარჩა.

**დავით გულუა**

სევილიის გრან პრი 2

# ჩემპიონებს სევილიამ აწყინა

## ამბავი ანდალუზიაში ხატაბის გამოჩენისა

**„სევილიის გრან პრი 2"-ზე** ოლიმპიური ჩემპიონები შერცხვნენ. კილომეტრნახევრის სარბენად მოზრდილი ამბიციებით გამოვიდა ნოა ნგენი, რომელმაც ეს დისციპლინა სიდნეის ოლიმპიადაზე სახელოვან ჰიშამ ელ გურუჯს მოუგო. უცხოელი ვინ რას უნდა შესცილებოდა, მაგრამ მეტოქეებად ნგენის ძლიერი თვისტომი სტაიერები ჰყავდა, რომელთაგან ბერნარდ ლაგატის გამორჩევა იქნებოდა უპრიანი. ეს კენიელი ბედის ირონიით ვერც ერთხელ გახდა გრანდიოზული ტურნირების ჩემპიონი, მაშინ, როცა ერთ მილზე ყველა დროის მეოთხე შედეგი უჩვენებია. ლაგატმა ერთი კვირის წინ „ჰენგელოს გრან პრი 2"-ზე იმარჯვა, მაგრამ იქ ნგენი არ ყოფილა, ხოლო სევილიაში მათი დუელი ტურნირის ცენტრალური ამბავი იყო.

„კურდღელმა" უილიამ ტანუიმ ნგენი და ლაგატი არცთუ საუცხოოდ გამოაქანა. მას 800 მეტრის წუთსა და 50 წამში დაფარვა სთხოვეს და 3 წამით გადააცილა, ხოლო 1 200 მეტრს 2.51,55-ით უწია, რითაც ცხადი გახადა, რომ ფინიშზე მაღალი შედეგით ვერავინ გადავიდოდა, გამარჯვებულიღა იყო დასადგენი.

ქანცგაცლილი ტანუი დავარდა თუ არა, ნგენი გავარდა, მაგრამ ბარე ოთხმა სტაიერმა ჩამორჩენა არ ინდომა და ლაგატიც მათში ერია. შემდეგ იყო მძაფრი სპრინტი და ბოლომდე 50 მეტრით ადრე ლაგატმა ნგენის გაუსწრო. მესამე ადგილიც კენიელს დარჩა, ბოლო ათწლეულების მყარი ტრადიციის თანახმად.

მოგეხსენებათ, ამქვეყნად რომის გარდა მარადიული არაფერია და დიდი შესვენების შემდეგ სტიპლჩეიზის გამარჯვებულად არაკენიელის ხსენება გვიწევს. სევილიაში 3 000 მეტრი წინაღობებზე ხტუნვითა და გუბეებში ტოპვით ყველაზე სწრაფად მაროკოელმა ელარბი ხატაბმა გალია. გრძელი დისტანციების არაბი ვეტერანი ბოლო ხანს ხელახალ აღმართს შეუყვა და ვინც ჩვენი ადრეული მიმოხილვების სტატისტიკურ ნაწილს ყურადღება მიაქცია, მას „გრან პრის" წინა ეტაპების საპრიზო ადგილებზეც იხილავდა. გასაკვირი ისაა, რომ სევილიის სტიპლჩეიზზე კენიელები საერთოდ სამეულში ვერ მოხვდნენ, ორი დანარჩენი ადგილი მასპინძლებს დარჩათ. გასაკვირია ორი პოსტსაბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონის სუსტი გამოსვლაც სევილიაში.

სერგეი კლიუგინმა სიდნეიში ყველა გააოგნა, როცა სიმაღლეზე ხტომაში ხავიერ სოტომაიორსა და სხვა ავტორიტეტებს აჯობა. იმის მერე რუსი აღარც გამოჩენილა, იქნებ ფიზკულტურის გაკვეთილები აფერხებდა, რომლებსაც მოსკოვის მავან სკოლაში ატარებს. მაგრამ ახლა სწავლა დასრულდა და არდადეგების პირველსავე დღეებში კლიუგინმა თავისი მეორადი პროფესია, უფრო ზუსტად, ჰობი გაიხსენა. იგი მხოლოდ მესამე იყო, ხოლო ლიტველმა მებადროემ, ვირგილიუს ალეკნამ ძლივს არ წააგო? წლეულს სადაც გავიდა, ლიტველი ყველგან პირველი იყო და მხოლოდ სევილიაში ჩამოიტოვა უნგრელმა რობერტ ფაზეკაშმა 9 სანტიმეტრით.

ქალთა სიგრძეზე ხტომა უცნობმა ბრაზილიელმა, ჰიგა მაურენ მაგიმ 6,87-ით მოიგო. მეორე იყო ექსკუბელი ნიურკა მონტალვო, რომელსაც ესპანელზე გათხოვება სიდნეის ოლიმპიადის ჩაგდებად დაუჯდა. სხვა ქალმა, იამაიკელმა დელლორიენ ენის ლონდონმა 100 მეტრზე თარჯრბენი სეზონის რეკორდით მოიგო და სტატისტიკის მოყვარულებს ამ ფაქტის დამახსოვრებასაც ვურჩევდით. სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, „სევილიის გრან პრი 2" სულ ეს იყო.

**დავით გულუა**

# მართლაც რა ეოლიმპიადებათ

**2012 წლის** ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი არაერთმა ქვეყანამ გამოთქვა. ბუნებრივია, სოკ-მა ყველა მოთხოვნა ჩვეულებრივად აღიქვა, რადგან ეს თითოეული ქალაქის თავკაცთა ნებაა. თუმცა, მოხდა ისე, რომ ერთ-ერთს ასეთი წადილი ჩანასახშივე მოუსპეს.

„თელავივს ვერ მივიჩნევთ ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატად, ვიდრე ისრაელსა და პალესტინას შორის არ იქნება სამშვიდობო შეთანხმება. თუ მოშუღლე მხარეები შეძლებენ დაძაბულობის შენელებას, მაშინ შესაძლებელი იქნება 2012 წლისთვის თელავივის სურვილის გათვალისწინება, მშვიდობის გარეშე კი ეს შეუძლებელია" — განაცხადა ისრაელსა და პალესტინაში ვიზიტისას სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა.

მოგეხსენებათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი 16 ივლისის არჩევნებამდე, მანამ, სოკ-ის სავარძელს ახალი მემკვიდრე გამოუჩნდება, ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში პრეზიდენტის რანგში საბოლოოდ მოგზაურობს. გასულ კვირას სწორედ ასეთი ვიზიტით იმყოფებოდა იგი ახლო აღმოსავლეთში. თავდაპირველად სამარანჩი ისრაელის ეოკ-ის წევრებს შეხვდა, მერე კი ღაზას სექტორშიც გადავიდა და პალესტინელი ოლიმპიზმის მამებიც მოინახულა. სამარანჩი პალესტინელთა ლიდერ იასირ არაფატსაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ისრაელმა ოლიმპიადის გამართვის პოტენციურ ასპარეზად სანაპირო ქალაქი მანამ შეარჩია, სანამ სექტემბერში საბრძოლო მოქმედებები განახლდებოდა.

# რადიკალი ონილი

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის მოსკოვის 112-ე სესიაზე გარდა იმისა, რომ ორ უმთავრეს კითხვას გაეცემა პასუხი, მსოფლიოს სპორტის სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც განიხილავენ. მათ შორის ერთ-ერთი, ალბათ, აკრძალულ პრეპარატებს შეეხება. ავსტრალიელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცურვაში სუზან ონილმა ამ საკითხზე აქედანვე დაიწყო ზრუნვა და სოკ-ის სესიისთვის საკმაოდ რადიკალური წინადადებაც მოამზადა.

ავსტრალიელი ემუქრება ყველა იმ სპორტსმენს, ვისაც დოპინგის ხმარებაში ამხელენ. კერძოდ, ასეთ დამნაშავეს, ონილის თქმით, უნდა მიესაჯოს არა ორწლიანი, არამედ სამუდამო დისკვალიფიკაცია.

„სხვა სფეროში როდესაც ვიღაცა რაღაცას აშავებს, მას სამუშაოდან ათავისუფლებენ, რადგან ეთიკის ნორმებს უგულებელყოფს. გამონაკლისი არც სპორტი უნდა იყოს. თუ სპორტსმენები აკრძალულ პრეპარატებს იღებენ, ესეც ეთიკის ნორმების უარყოფაა. მაშასადამე, მას არ უნდა მიეცეს ასპარეზობების უფლება" — კატეგორიულია ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ონილი.

შეგახსენებთ, რომ ოზი მოცურავე სოკ-ის მიერ არჩეული იმ რვა სპორტსმენთაგანია, მისივე კოლეგა რუს ალექსანდრ პოპოვთან და უკრაინელ ჭოკით მხტომელ სერგეი ბუბკასთან ერთად, ვინც ამ ორგანიზაციის წევრებად მიიღეს სექტემბერში.

იმასაც შეგახსენებთ, რომ 27 წლის ონილმა სპორტულ კარიერას სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ დაანება თავი.

# კუბა სამოყვარულო სპორტის ერთგულია

**იმის** დასამტკიცებლად, თუ როგორ უნდა უმასპინძლო ოლიმპიურ თამაშებს კომერციალიზაციის გარეშე უმაღლეს დონეზე, კუბელები 2012 წლის ოლიმპიადის კუნძულზე გამართვას ითხოვენ.

როგორც კუბის ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ხოსე რამონ ფერნანდესმა თავისუფლების კუნძულზე გამომავალ კომუნისტური პარტიის გაზეთ „გრანმას" განუცხადა, მათ სურთ, მთელ მსოფლიოს დაანახონ, რომ ამგვარი ღონისძიებების წარმატებულად ორგანიზება პატარა სახელმწიფოსაც ძალუძს.

„დღევანდელი პოლიტიკით თუ ვიმსჯელებთ, ნათლად ჩანს, რომ ოლიმპიადის მასპინძლობის პატივს ერთი და იგივე ქვეყნებს ანიჭებენ. ის, რომ სოკ-ის 200 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს უყურებენ კეთილი თვალით, მიუღებელია" — გულნატკენია ფერნანდესი.

ვიცე-პრეზიდენტის თქმით, მდიდარი ერები თავს დიდი ოდენობით თანხის ტრიალის უფლებას აძლევენ, ასეთი რამ კი ზიანს აყენებს იმგვარ ღონისძიებას, რომელიც სამოყვარულო სპორტის განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ კანდიდატ ქალაქთაგან სოკ-ი გამარჯვებულს 2005 წლის შემოდგომაზე დაასახელებს.

# ბუდაპეშტის მერვე მცდელობა

**უნგრელებს** ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში კოვზი შვიდჯერ ჩაუვარდათ ნაცარში, მაგრამ ამ ღონისძიების თავისთან ხილვის სურვილი მაინც არ განელებიათ.

მადიარებს უნგრეთის დედაქალაქში ოლიმპიადის ხილვა 2012 წელს სურთ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ქვეყნის ხელისუფალთა მხარდაჭერა თავის თავზე აიღო. ასეთივე ნაბიჯს ელის იგი ეკონომიკის კერძო სექტორიდანაც.

# ოლიმპიადაზე სალოთაო უბანს აწყობენ

**მომავალი** ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა ქალაქის საბჭოში ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ სოლტ ლეიკ სიტის თეთრი ოლიმპიადისას ბახუსის მოყვარულებს ქალაქის ცენტრთან ალმადალმა ხეტიალისას შეუძლიათ ღვინოც მიირთვან და ლუდიც. ოღონდ, სოლტ ლეიკ სიტის მერის, როკი ანდერსონის გეგმით, ღრეობის მოყვარულებს შემოკავებულ უბანში მოუწევთ ქეიფი.

ამგვარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოს ზოგიერთი წევრი, მაგრამ ვერას გახდნენ. არადა, „საქეიფო უბანში", როგორც ამ იდეის ორგანიზატორები აცხადებენ, ყველაფერი გათვალისწინებული იქნება. თუ შეზარხოშებულებს აცუნდრუკება მოუნდებათ, ამაში მათ მუსიკოსთა გუნდიც დაეხმარება. იქვე იქნება თოვლისა და ყინულისგან შექმნილი სკულპტურული ნამუშევრები. ისინი განკუთვნილი იქნება გამოპრუტუნებული თანამეინახეების ყურებით გადაღლილთათვის, რათა თვალი გაახარონ. ამას ხელს შეუწყობს გიგანტურ ეკრანზე ასახული ოლიმპიური პერიპეტიებიც. ამასთან მოქეიფეებს შეეძლებათ გემო გაუსინჯონ ეთნიკურ საკვებს.

„საქეიფო უბანში" შემსვლელებსაც და იქიდან გამომსვლელებსაც მონიტორზე მიადევნებენ თვალს, რათა არც შიგნით შეიტანონ სასმელი და არც გამოიტანონ. „ჩვენ არ გვსურს, რომ ხალხმა ქალაქის ირგვლივ სასმელით იაროს. არანაირი სურვილი არ გვაქვს, რომ უპასუხისმგებლონი ვიყოთ" — განაცხადა ქალაქის ოლიმპიურმა დამგეგმარებელმა ჯონ სიტნერმა.

**გიგა გურასაშვილი**



REUTERS ვერონიდან



# ცრუშექსპირული ყეენობა ვერონაში



REUTERS ვერონიდან

ვერონას ტარნინგ სტოუნ კაზინოში, ნიუ იორკის შტატში რომ ძევს, ხალისითა და თამაშობით ჩატარდა დიდი საკრივო ყეენობა. ქალთა კრივი რადა არის, რომ იმაზე ფული მოიჭრას, მაგრამ გაქნილმა საქმოსნებმა მაინც გაახერხეს და მამათა სახელით გამოუშვეს რინგზე 23 წლის ლეილა ალი და 39 წლის ჯეკი ფრეზერი. რაც მუჰამედ ალის და ჯო ფრეზერს უბრძოლიათ და ოქროს რამეები ჩაუწერიათ კრივის ისტორიაში, ამ ტინგიცობით გააცოცხლეს. ლეილა სამი წელიწადია მოკრივედ არის, ჯეკიმ კი, ხელობით ვექილმა, შარშან დაიწყო ვარჯიშობა სწორედ ამ ბრძოლისთვის და როგორც თვითონ თქვა, ისტორიის გასაცოცხლებლად. ისტორია ამით ვერ გაცოცხლდა, თუმცაღა, ქალთათვის გვარიანი, რვარაუნდა ბრძოლა ფიცხელი იყო. ვისაც გული არ მისდის ქალთა კრივობის ცქერისას, ისიც კი მოილხენდა. რეფერიდ რობერტ ფონიკი იყო, რომელმაც მსაჯთაგან ფურცლები წამოკრიფა და ქულებით მოგებულად უფრო ოსტატური ლეილა გამოაცხადა. ამის შემდეგ რინგზე ამობრძანდა თავად ცაცია ჯო ფრეზერი, რომელიც ჯერ ლეილას მიეხმატკბილა, მერე კი ჯეკის მიეფერა. ასე დასრულდა ცრუშექსპირული ყეენობა, რომელსაც იმ ნამდვილი, შთამომავლობითი მტრობის მსგავსად მოქმედების ადგილად ვერონა ჰქონდა.



REUTERS ვერონიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge